რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი, 25 ოქტომბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 15 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 3 მან. 35 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 8 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული ფოსტით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 179 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 179

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუძნებელი კრების სადეპუტატო კანდიდატები სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიისა

კავკასიის ფრონტის საარჩევნო ოლქიდან.

სია № 1

1) **გეგეჭკორი**, ევგენი პეტრეს ძე სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის, კავკასიის ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. თფილისი—სასახლე.
2) **სმირნოვი**, მიხეილ ნიკოლოზის ძე, სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. კავკასიის ჯარების ცენტრის თავმჯდომარის ამხანაგი.
3) **ხუდოვეც**, სამუილ იაკობის ძე, რუს ტეხნიკთა რაზმის წმუნებული აზრუმის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.
4) **მახალკინი**, პავლე ივანეს ძე, ნაფიცი ვექილი, თფილისი—ოლღას ქუჩა № 13.
5) **ხავრანსკი**, აბრამ ლაზარეს ძე, ბაიაზეთის გარნიზონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი.
6) **ემელიანოვი**, ალექსი გრიგოლის ძე, ნაფიცი ვექილი, პირველი კავკასიის საგანგებო ცხენოსანი კორპუსის კომისარი—მოქმედი ჯარი.
7) **სერობროვსკი**, ალექსანდრე სერგეის ძე, ტრაპიზონის ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი—ტრაპიზონი.
8) **ბერეზოვსკი**, ფეოქტისტ ალექსის ძე, ამიერ კავკასიის სრულიად რუსეთის საერობო კავშირის კომიტეტის თავმჯდომარე—თფილისი.
9) **ონუფრიენკო**, მიხეილ ტროფიმეს ძე, ჯარისკაცი, კავკასიის ჯარის საბჭოს წევრი—თფილისი, სასახლე.
10) **ტკაჩენკო**, ნიკოლოზ ზაქარიას ძე, ყაზახი კავკ. ჯარის საბჭოს წევრი, თფილისი სასახლე.
11) **დორნერ**, იზრაილ მოსეს ძე, ჯარისკაცი, მე-491 ქვეითი ვარნავინის პოლკის კომიტეტის წევრი—მოქმედი ჯარი.
12) **შპაჩენკო**, ფედორ დიმიტრის ძე, მუშა, ტრაპიზონის აღმ. კომიტ. წევრი—ტრაპიზონი.
18) **შტეინბერგი**, ელენ ხრისტიანის ძე, ჯარისკაცი, თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა „უწყებების“ თანამშრომელი.

ღრმათ დამწუხრებული დედა მართა ზაქარიას ასული შაიშმელოვისა, შვილები: ერმილე და ვასო იოსების ძენი თოხაძენი, თამარა იოსების ასული თოხაძისა და ნინა იოსების ასული რეშეტნიკოვისა, ანნა ივანეს ასული შელიქ შახნაზაროვისა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 25 ოქტომბერს, დილ. 10 საათზე, ქ. თფილისში კალოუბნის ეკლესიაში გადახდილ იქნება საორმოცო წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი

ეკატერინა ილიას ასული თოხაძის

სულის მოსახსენებლათ.

გულდათუთქულნი პანტელეიმონ, ფილიპე, სამსონ დიმიტრის ძე გოგელიები, ნასტია სიმონის ასული, ელისაბედ გიორგის ასული, ოლია პავლეს ასული გოგელიებისა, ეგნატე და მარუსია დარსაველიძენი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 28 ოქტომბერს, შაბათს დანიშნულია ორმოცი დღის წირვა გარდაცვლებულის

ალათი ოთარის ასულის გოგელიას

ძმობის წმ. კვირიკის ეკლესიაში.

ღრმათ დამწუხრებულნი: დავით, ალათი და გრიგოლ შარაშენიძეები; ელისაბედ (უცე) და ივანე ძიძიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ტრაპეზუნდში უეცრივ უდროოთ გარდაიცვალა პირველის უსაყვარლესი მეუღლე, დანარჩენების ძვირფასი რძალი

ლიუდმილა პავლე გოგიაშვილის ასული

შარაშენიძისა.

ცხედარს გამოასვენებენ ქ. ქუთაისში. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

გაიხსნა ახალი
ქართული სრულუფლებიანი გიმნაზია

ორივე სქესის ყმაწვილთათვის

ამთავათ მიიღებიან მოსწავლენი I კლასში და მოსამ განყოფილებებში.

ფასი სწავლისა I კლასში 200 მან. განყოფილებებში 150 მ.

თხოვნა მიიღება ყოველდღე დილის 9 საათიდან 2 საათამდე. უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის კანცელარიაში.

ვერა. არაგვის ქუჩა, სახლი ხიმონოვისა № 2.

10—4 **დამფუძნებელი ხიმონი და თეკლე ზრდაზნოვები.**

თბილისის გუბერნიის
დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიისაგან.
მოქალაქენო ამრჩევლებო!

თფილისის დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისია გაუწყებთ თქვენ, რომ 20 ოქტომბრიდან საარჩევნო სიები თფილისის გუბერნიის მაზრებისა გამოფენილია სასოფლო საარჩევნო რაიონებში და ქალაქის საარჩევნო უბნებში. ის პირნი, ვისაც აქვს უფლება არჩევნებში მონაწილეობისა, 21 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრამდე შეუძლიათ შეიტანონ საჩივარი სიის ნაკლულევანობის და მასში შეპარულ შეცდომების შესახებ. საჩივრები მიიღება სამაზრო და საქალაქო კომისიებში, რომელიც ხელმძღვანელობენ დამფუძნებელ კრების არჩევნებს. 28, 29 და 30 ოქტომბერს კომისიები გაარჩევენ შემოტანილ საჩივრებს. 3—2

საბჭოთა ყრილობა

დღეს პეტროგრადში მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოს ყრილობა იხსნება. წინათ ასეთ ყრილობას აღფრთოვანებით ეგებებოდა მთელი რევოლიუციონური დემოკრატია. ყრილობა რევოლიუციის გაძლიერებას ემსახურებოდა. განსაკუთრებულ პირობებში იკრიბებიან ამ ჟამად საბჭოთა წარმომადგენლები.

დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ერთი თვეღა რჩება. 28 ნოემბერს გაიხსნება მთელი ხალხის ნდობით აღჭურვილი და დემოკრატიულ საფუძველზე არჩეული დამფუძნებელი კრება, რომელიც მოწოდებულია ძველი წყობილების ნაშთები სავსებით დაასამაროს და დემოკრატიული რესპუბლიკა განამტკიცოს.

ამ ჟამად საარჩევნო კამპანია გაჩაღებულია. ასეთ დროს ყველა რევოლიუციონური პარტიის ვალია, ხელი შეუწყოს არჩევნებზე დემოკრატიის გამარჯვებას. ცხადია რევოლიუციის ინტერესი ყრილობის არჩევნების დამთავრებამდე გადადებას მოითხოვს.

მაგრამ სულ სხვანაირათ ფიქრობენ ბოლშევიკები. დამფუძნებელი კრების მოწვევა მათ ავანტიურისტულ პოლიტიკას დასამარებას უქადის. რუსეთს ნამდვილი მატონ-პატრონი მოევლინება. მთელი ქვეყანა ვალდებული იქნება დამფუძნებელი კრების დადგენილებებს ანგარიში გაუწიოს. უმცირესობა უმრავლესობის სურვილებს უნდა დაემორჩილოს. განა საეჭვოა, რომ დამფუძნებელ კრებაზე თავმოყრილი რევოლიუციონური დემოკრატიის დიდი უმრავლესობა ზურგს შეაქცევს იმ გზას, რომელსაც ბოლშევიკები დაადგნენ? ამიტომაც არის ისინი ჩქარობენ, რომ ისარგებლონ ქვეყნის არეულ-დარევით და დიდ უმრავლესობას ერთ მუჭა ბლანკისტთა სურვილები თავს მოახვიონ. ხვალ პეტროგრადში ბოლშევიკების მე[illegible]ბით მუშათა და ჯარისკაცთა გამოსვლას ელიან; ბოლშევიკები მთავრობის ხელში ჩაგდებას ელტვიან. მთელი ძალა-უფლება საბჭოებს—ასეთია ბოლშევიკთა წადილი. ეს იქნება უმრავლესობისათვის უმნიშვნელო უმცირესობის სურვილთა თავზე მოხვევა. ბოლშევიკებმა კარგათ იციან, რომ დამფუძნებელი კრება ასეთი გზით ვერ ივლის. ბურჟუაზია კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკში გადაბარგდა. ამიერიდან რევოლიუციის განვითარება დემოკრატიის საქმეა. მაგრამ დემოკრატია მოკალათებულია არა მხოლოდ საბჭოებში, არამედ ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებში, როგორიც არის ქალაქი და საერობო დაწესებულება. მთელი დემოკრატიის გაერთიანება—აი თავდები რევოლიუციის გამარჯვებისა. საბჭოთა მთავრობა ამას უარყოფს, ის მხოლოდ დემოკრატიის ერთ ნაწილს ეყრდნობა და მით რევოლიუციონერთა გათიშვას აჩქარებს. ეს კონტრ-რევოლიუციის ამოძრავების გაადვილება იქნება. ეს კიდევ ცოტაა. მუშათა და ჯარისკაცთა ამ ხანათ ქუჩებში გამოსვლა ბნელი ძალების წაქეზებაა. უფრო დიდი საზომით 3—5 ივლისის ამბები განმეორდება. მაშინ რევოლიუციონერთა გვერდში ამოუდგნენ „პოგრომშჩიკები“ და შეეცადნენ რევოლიუციის დასამარებას. მას შემდეგ მემარჯვენეთა ბანაკი კიდევ უფრო გაძლიერდა. ხალხის შეუგნებელ წრეებში რევოლიუციით უკმაყოფილება ფეხს იკიდებს. სასურსათო კრიზისი მწვავდება, უმუშევრობა იზრდება. ასეთ დროს მუშათა და ჯარისკაცთა ქუჩებში გამოსვლა ნებით თუ უნებლიეთ კონტრ-რევოლიუციონერთა ხელის შეწყობა იქნება. მემარჯვენენი ირაზმებიან და ხელსაყრელ მომენტს უცდიან.

სწორედ ამით აიხსნება, რომ რევოლიუციონური დემოკრატიის დიდი უმრავლესობა სასტიკათ გმობს ბოლშევიკთა განზრახვებს. ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პეტროგრადის პროლეტარიატი არ აყვება ბლანკისტთა ჯგუფს და შეეცდება მთელი თავისი ძალღონით ხელი შეუწყოს დამფუძნებელ კრებაზე დემოკრატიის გამარჯვებას და კონტრ-რევოლიუციონერთა ალაგმვას.

ყრილობისაგან ბოლშევიკები ავანტიურისტული ნაბიჯის გადადგმას ელიან. თუ მათი მოლოდინი გამართლდა, ეს იქნება უმცირესობის ამხედრება უმრავლესობის წინააღმდეგ და ქვეყანაში ანარქიის გაძლიერება, რაც კონტრ-რევოლიუციის გამარჯვების დასაბამი გახდება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყრილობა არ გაჰყვება ბლანკისტთა პლანებს და ქვეყანას ახალი განსაცდელისაგან დაიხსნის. ძალა-უფლების საკითხის გადაჭრა დამფუძნებელი კრების საქმეა. მისი მიწვევა უზრუნველყოფილია, თუ არ ახალი ავანტიურისტული გამოსვლა.

სამოქალაქო ომი

ყოველ რევოლიუციას სტიქია თან სდევს. ფართო მასის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა აუცილებლად მრავალ ექსცესსა და ანარქიულ დებოშებს იწვევს და მოქალაქეობრივ ომის წარმოშობას ნიადაგს უმზადებს. უამისოთ არ მომხდარა არც ერთი რევოლიუცია, არც ერთი პოლიტიკური წყობილების გადატრიალება.

უფლებას მოკლებული კლასი, ფართო დემოკრატია რევოლიუციის პროცესში თავის კლასობრივ ინტერესებს აღრმავებს. თავის პოლიტიკურსა და ეკონომიურ მოთხოვნებს ფართოთ იკმაყოფილებს. უკანასკნელი გარემოება კი გაბატონებულსა და დაბეჩავებულ კლასებს შორის დამოკიდებულებას ამწვავებს და რაც დრო გადის შინაური ბრძოლა ძლიერდება და მკაცრ ხასიათს ღებულობს. ასეთ ბრძოლის დროს მხოლოდ ის კლასი გამოდის გამარჯვებული, რომელიც თავის გარშემო მეტ ხალხს, მცხოვრებთა მეტ ნაწილს შემოიკრებს და საერთო მოძრაობას მეტ შეგნებულსა და გათვითცნობიერებულ ხასიათს მისცემს. ჩვენ ვამბობთ—ის კლასი გამარჯვებს, რომელიც თავის გარშემო მეტ ხალხს შემოიკრებს და რევოლიუციონურ მოძრაობას შეგნებულ ხასიათს მისცემს, ვინაიდან ორ მთავარ მოწინააღმდეგეთა—ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის იმყოფება ფართო დემოკრატია, რომელიც მებრძოლთა გამარჯვების ბედს სწყვეტს. ფართო დემოკრატია დასავლეთ ევროპის უკვე მომხდარ რევოლიუციებში დიდ როლს თამაშობდა და სადაც იგი გადიხრებოდა, გამარჯვებაც იმხრივ რჩებოდა. დემოკრატიას რუსეთის რევოლიუციაშიაც დიდი მნიშვნელობა აქვს, აქაც ფართო დემოკრატია თავისი რაოდენობით, თავისი ეკონომიური და პოლიტიკური მისწრაფებით გადამწყვეტ როლს ითამაშებს. ასეთია რუსეთის ობიექტიური პირობები, საერთო პოლიტიკური ძალთა განწყობილება და ვინც ამას ანგარიშს არ გაუწევს—ის აუცილებლათ უტოპისტი და რევოლიუციის დამმარხველი იქნება.

ბოლშევიკებს ხშირათ უყვართ საფრანგეთის ამა თუ იმ რევოლიუციაზე მითითება და ისინი წარსულის გაკვეთილების სახელმძღვანელო მოტივათ იყენებენ. განსაკუთრებით ხშირათ იხსენიებენ საფრანგეთის დიდ რევოლიუციას და პარიზის 1871 წლის კომუნას. მაგრამ დავიწყებიათ ამ ანარქო-ბლანკისტებს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს თვით იაკობინელები ძალა-უფლებას გლეხობისა და ბურჟუაზიის ერთი ნაწილის დახმარებით ინარჩუნებდენ და უკანასკნელი ელემენტები ყოველ კრიტიკულ მომენტში იცავდენ მათ. რაც შეეხება პარიზის კომუნას, იქაც წვრილი და საშუალო ბურჟუაზია კომუნისტებს შავრაზმელ ვერსალელების კონტრ-რევოლიუციისაგან იფარავდა. პარიზის წვრილმა და საშუალო ბურჟუაზიამ ზურგი შეაქცია კომუნისტებს მხოლოდ მაშინ, როცა უკანასკნელებმა თავისი წმინდა კლასობრივი პროგრამის განხორციელება განიზრახეს და ფართო დემოკრატიას „წითელი საფრთხის“ აჩრდილი წინ დაუყენეს. პარიზის კომუნარებმა თავიანთ რადიკალური პროგრამის წამოყენებით ჩამოიშორეს წვრილი და საშუალო ბურჟუაზია, პროლეტარიატი საერთო დემოკრატიიდან გამოითიშეს და მით კომუნა დაასამარეს.

ასეთ ტაქტიკას აწარმოებენ დღეს რუსეთის ბოლშევიკები და მათი ამყოლ-დამყოლნი. თავიანთ ლოზუნგებით, თავიანთ ტაქტიკით ისინი მთლათ გამარტოებულად აყენებენ თავის თავს არა მარტო წვრილ და საშუალო ბურჟუაზიიდან, არამედ გამოთიშეს იგი ორგანიზაციულად შეკავშირებულ გლეხკაცობიდან და მუშათა კლასის ერთ ნაწილიდან, რომლებიც ლენინის ანარქისტულ ტაქტიკას არ იზიარებენ.

ჩვენ არ გვგონია მათ გაბედონ არსებული სიტუაციით სარგებლობა და მთელი ძალა-უფლების ხელში აღება. და თუ რაიმე შემთხვევით ეს მოხდა, რუსეთის რევოლიუციას იგივე ბედი მოელის, რაც მოუვიდა პარიზის კომუნას. მაგრამ შეგნებული მუშათა კლასი და ფართო დემოკრატია ბოლშევიკებს მხარს არ უჭერს. მათი მოწოდება 25 ოქტომბერს ხალხი ქუჩაში გამოსულიყო სახელმწიფოს ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ, მხოლოდ მოწოდებათ დარჩება და ფართო დემოკრატია მას არ გამოეხმაურება. თვით ბოლშევიკების ერთი ხელმძღვანელთაგანი რიაზანოვი აღნიშნავს, რომ დემოკრატია ბოლშევიკების ლოზუნგისადმი სრულ ინდიფერენტიზმს იჩენს და მას მხარს არ დაუჭერს. დიახ—ბოლშევიკების ავანტიურა, რომელიც იქით არის მიმართული, რომ სამოქალაქო ომი გააჩაღოს და პეტროგრადის ქუჩებზე უმანკო სისხლი დაღვაროს, კრახს განიცდის და მას ყველანი ზურგს შეაქცევენ. მათ შეუძლიათ მხოლოდ ლუმპენპროლეტარები, ძველი რეჟიმის საფანელზე გაზრდილი პარაზიტები აიყოლიონ, ანარქისტული დებოშები მოახდინონ და მით ისედაც არეულ-დარეულ ეკონომიურ ცხოვრებაში მეტი კრიზისი და უწესოება შეიტანონ. უკანასკნელი გარემოება კი შეგნებულ მუშათა კლასს, გათვითცნობიერებულ დემოკრატიას საშუალებას მისცემს ბოლშევიკურ ანარქისტულ გამოსვლებს ზურგი შეაქციოს და მარქსისტულ მოძრაობის ფერხულში ჩაებას. ბოლშევიკების ტაქტიკა ბოლშევიკებს გაკოტრებას უმზადებს.

პრესა

საარჩევნო კამპანია უკვე გააჩაღეს გაზეთებმა. პირველად ყოვლისა, რასაკვირველია ეცენ სოციალ-დემოკრატიას. ყველას ეს მუშათა პარტია ეჩხირება თვალში, ყველას მისკენ აქვს მიმართული თავის მახვილი. ესერები და ფედერალისტები, დაშნაკელები და ჩვენი ნაციონალისტები ყველანი შეხმატკბილებულან—დაესიენ მუშათა მოწინავე ავანგარდს, რომ მისი გავლენა დემოკრატიაზე შეასუსტონ.

ჩვენ ამ თავდასხმის არ გვეშინია, ჩვენთვის ხომ პირველი არაა ასეთი საერთო შემოტევის მოგერიება. ყოველი საარჩევნო [illegible], ყოველი პოლიტიკური გამოსვლა ასეთ იერიშით დაწყებულა, მაგრამ გამარჯვებული მაინც ყოველთვის სოციალ-დემოკრატია რჩებოდა და ეს არც გასაკვირველია.

ჩვენი ძალა და ძლიერება ჩვენი პოზიციის პრინციპიალურ სისწორეშია. ჩვენი გამარჯვების თავდები—ის წარსული და აწმყო კულტურული და პოლიტიკური მუშაობაა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით.

ამ მხრით სოციალ-დემოკრატიას მტკიცე შეურყეველი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული. ჩვენი მოწინააღმდეგენი გრძნობენ ამას და ამიტომ ცდილობენ ფაქტების დამახინჯებით და გადაუკუღმართებით სახელი გაგვიტეხონ გულუბრყვილო მკითხველის თვალში მაინც, გონიერს ისინი ვერ მოატყუებენ. აი, მაგ. 24 ოქტომბრის თარიღით მეთაურში „სახალხო საქმე“ ასეთ კომპლიმენტებს გვიძღვნის:

„მთელი ამიერ კავკასია და „შეგნებული“ საქართველო კრინტსაც არ სძრავდა ეროვნულ თავისუფლებისათვის, საქართველოს რევოლიუციონერები—სოციალ-დემოკრატები ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის ჭაობში იყვნენ ჩაფლულნი და აცნობებდნენ ამ გზით ისეთ უფლებების მიღებას, რომელსაც სხვა მხარენი ბრძოლით ეძიებდნენ“.

რაშია საქმე? რომელ ლოიალობაზე ლაპარაკობს ფედერალისტთა ორგანო?

საქმე მარტივია. ცენტრალურმა მთავრობამ შეზღუდა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის უფლებები.

მერე ვინ არის ამაში დამნაშავე?

ჰკითხეთ ფედერალისტების გაზეთს და ასეთ ხელისხელ საგოგმანებელ მარგალიტ-ჭეშმარიტებას მოისმენთ:

„თუ დღემდე რაიმე ღვაწლი მიუძღვის კომისარიატში (ე. ი. ოზაკომში—მეპრ.) გაბატონებულ (?) სოციალ-დემოკრატიას რუსეთის მთავრობისადმი, ეს ღვაწლი უსაზღვრო მორჩილებაში გამოიხატება, კომისარიატი სრული მონა იყო ცენტრალური მთავრობისა, კომისარიატმა დაივიწყა თავისი ძალა-უფლება, რევოლიუციონური ენერგია და მტკიცე რეფორმიზმის გზასაც ასცდა.

კავკასიის კომისარიატი სოციალ-დემოკრატიული კომისარიატი იყო და უფლებიანმა სოციალ-დემოკრატიამ კი არავითარი რეალური ნაყოფი არ მოუტანა ჩვენს ქვეყანას“.

კითხულობ ამას და გიკვირს, ნუ თუ ასე უზომოთ მკითხველის აბუჩათ აგდება შეიძლება?

დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატში ერთად-ერთი წარმომადგენელი იყო სოციალ-დემოკრატიის. დანარჩენი კადეტები და ნაციონალისტები, მათში არის ფედერალისტიც.

სწორედ ასეთმა შემადგენლობამ გამოიწვია ოზაკომის სრული უმოქმედობა, მისი ანტი-რევოლიუციონური მოქმედება.

სოციალ-დემოკრატიამ კარგა ხანია წამოაყენა მორიგ საკითხათ ამ კომისარიატის ძირიანად შეცვლა და მასში დემოკრატიის წარმომადგენლების გაბატონება.

საერთაშორისო ომი

ჩრდილოეთ ფრონტზე, დვინის მიმართულებით მტერმა საარტილერიო სროლა განაცხოველა. დანარჩენ ფრონტზე მხოლოდ მოწინავე რაზმები იბრძვიან.

ბალტიის ზღვაზე სიწყნარეა.

კავკასიის ფრონტზე, კიალკიტ-ჩიფტლიკის რაიონში რუსის ჯარმა მტრის სანგრების პირველი წყება ხელში ჩაიგდო. დანარჩენ ფრონტზე უმნიშვნელო შეტაკებები ხდება.

საფრანგეთის ფრონტზე აღსანიშნავი ცვლილება არ მომხდარა.

ასეთივე მდგომარეობაა ინგლისის ფრონტზე.

იტალია-ავსტრიის ფრონტზე ავსტრია გერმანიის ჯარი მდ. ტალიამენტოს ნაპირებთან მდებარე პოზიციებს ყუმბარებს უშენს და სასტიკი იერიშები მიაქვს. იტალიის ჯარის მდგომარეობა კრიტიკულია.

მერე ვინ აღუდგა ამის წინ? მთელი კვირეების განმავლობაში იმართებოდა ამაზე კამათი პრესაში და რევოლუციონურ ორგანიზაციებში.

ყველა ჯურის ნაციონალისტები, რომელნიც დღეს ასე ეწიწებიან ოზაკომს ზოგი ალთას, ზოგი ბალთას, მაშინ შეერთდნენ დემოკრატიის განზრახვის წინააღმდეგ და დემოკრატიზაციის განზრახვა უნაყოფოთ ჩაატარეს.

მაშასადამე, მათ ყოველი ღონე იღონეს, რომ კომისარიატი სოციალდემოკრატიის ხელში არ ჩავარდნილიყო და იგი ისევ ნაციონალისტთა საჯარითო მოდენათ დარჩენილიყო.

ცხადია, ასეთ შინაური ბრძოლის შემდეგ დრ. მთავრობას ადვილათ შეეძლო ოზაკომის უფლებები თავისუფლად შეეკვეცა, რაკი ადგილობრივი დემოკრატიის განზრახვა თვით ადგილობრივ ნაციონალისტთა [illegible].

მაგრამ განა უტიფრობა არაა, რომ ამის შემდეგ გამოდის იგივე გაზეთი და გაიძახის: „კავკასიის კომისარიატი სოციალდემოკრატიული კომისარიატი იყო“ და სხვ.

ნუ თუ საარჩევნო ფონდებ ასეთი აშკარა ჭორიც გამოდგება?

სწორეთ საბრალოა ის გაზეთი, რომელსაც ამის მეტი საბუთი არა აქვს მოწინააღმდეგესთან საბრძოლველათ?

მკითხველისათვის ჩვენ ვაყენებთ შემდეგ დასკვნებს:

1) ოზაკომი—კადეტების და ნაციონალისტებისაგან შესდგება გარდა ერთისა, სულ 6 წევრია.

2) ამ ნაციონალისტურმა შემადგენლობამ გამოიწვია ოზაკომის უმოქმედობა.

3) სოციალდემოკრატია შეეცადა მისი შემადგენლობის შეცვლას, მაგრამ ეს არ განხორციელდა სწორეთ ქართველ, სომხურ და თათრის ნაციონალისტთა წინააღმდეგობის გამო.

4) მაშასადამე, ბრალი მის უმოქმედობაში ედება ამ ნაციონალისტებს და არა სოციალდემოკრატიას.

5) ფედერალისტების ახლანდელი ყვირილი სოციალდემოკრატების ხელშია ოზაკომიო, თვალხილული ჭორია და მეტი არაფერი.

დაამტკიცონ ფედერალისტებმა წინააღმდეგი.

დეპეშები

(პ. დ. ს. 24 ოქტომბერი).

მატარებლის დაჯახება.

დონის-როსტოვი. სადგურ კონაკოვოზე სანიტარო მატარებელი № 3 დაეჯახა სამგზავრო მატარებელს № 5, დაიმტვრა რამდენიმე ვაგონი—„ტეპლუშკა“, სადაც ჯარისკაცები იყვნენ, მოკლულია 25 კაცი და დაჭრილი 70.

მატარებელზე თავდასხმა.

— კარაბულაღის და პრიევოს შუა ყაჩაღები თავს დაესხნენ სანიტარულ მატარებელს. მათ ეგონათ სამგზავრო მატარებელი იყო და მოინდომეს გაჩერება, მაგრამ მემანქანემ ელვის სისწრაფით გააქანა. ყაჩაღებმა თოფები დაუშინეს. მოკლულია ორი ჯარისკაცი და დაჭრილია ექვსი.

დამფუძნებელ კრების არჩევნები.

პეტროგრადი. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს ცნობები მოსდის სხვადასხვა ადგილებიდან დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ. სხვათა შორის პოლტავის გუბერნიიდან ატყობინებენ, რომ ასოთ-ამწყობთა კავშირმა გადასწყვიტა არ დაბეჭდოს ბურჟუაზიულ პარტიების მოწოდებები, ამის გამო ვაჭარ-მრეწველთა კავშირმა, სახლის პატრონებმა და სხვებმა დეპეშები გაუგზავნეს კერენსკის, გვოზდევს, მალიანტოვიჩს და ნიკიტინს, რომლითაც პროტესტს აცხადებენ ასოთამწყობთა კავშირის ასეთ მოქმედების წინააღმდეგ; პურის მოვაჭრენი აცხადებენ, რომ მთავრობამ, რომელიც პურს თხოულობს, უსათუოთ უზრუნველ უნდა ჰყოს არჩევნების თავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში არ ვსცნობთ დამფუძნებელ კრებასო.

ახალი სესხი.

ნიუ იორკი. ჩრდილო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთს მისცა 31.70.0000 დოლარი.

მშობიარეთა დაზღვევა.

პეტროგრადი დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა მშობიარეთა დაზღვევის შესახებ რეფორმის პროექტი, რომლითაც ფრიად ფართოვდება სადაზღვევო კასების უფლება მუშა დედების უზრუნველსაყოფათ.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენცია.

პეტროგრადი. ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია მეურნეობაში რევოლუციონური ზომების მიღების და წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესების შესახებ.

დარბევის წინააღმდეგ.

პეტროგრადი. რადგან დარბევის შესახებ აგიტაცია დაიწყეს, ებრაელთა მხედრობა თავდაცვის მოწყობის საქმეს შეუდგა.

გაფიცვა.

ბლაგოვეშჩენსკი. ამურის ფლოტის გაფიცვის გამო ქალაქში წესიერება დაირღვა. მუშები საერთო გაფიცვის გამოცხადებას აპირებენ. ქალაქს ჯარი და მილიცია იცავს. სამხედრო ორგანიზაციამ გამოაცხადა, რომ ნებას არ მისცემს გემებზე მანქანების გაფუჭებას.

ჭიათურის რკინის გზა.

ქუთაისი. ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობამ დაადგინა, რადგან ომის შემდეგ დიდი მოთხოვნილება იქნება მადანზე, იშუამდგომლონ ვიწრო ლიანდაგი ფართეთი შეიცვალოს, ნება მიეცეს საბჭოს შეიძინოს საკუთრებათ გერმანელ ქვეშევრდომთა მრავალ მილიონათ ღირებული შავი ქვის წარმოებები, გადიდონ საფუთო გადასახადი და სახელმწიფო ბანკში იაფი კრედიტი მისცენ.

მიწის კომიტეტის დადგენილება.

მინსკი. მინსკის მაზრის ერთმა მიწის კომიტეტმა დაადგინა მიწები არ მიეცეთ იმ პირთ, რომლებიც სამხედრო სამსახურს გაურბიან.

პროტესტი.

პეტროგრადი. ტობოლსკის დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი დეპეშა გაგზავნა პეტროგრადში: „რუსკოე სლოვოს“ № 230 და „ნოვოე ვრემიას № 14892 მოთავსებული დეპეშები ტობოლსკში მონარქიულ მდგომარეობის გამეფების და რომანოვების სახლის წინ ბრბოს მიერ მანიფესტაციის მოხდენის შესახებ საზიზღარი სიცრუე და პროვოკაციაა. ამისთვის სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ, რადგან ეს ჩირქს სცხებს დეპუტატთა საბჭოს, დამცველებს და საგანგებო კომიტეტს. ადგილობრივი მცხოვრებნი მოითხოვენ საჩქაროდ გამოიძიონ საქმე და დამნაშავენი სასტიკათ დასაჯონ.

ლატიშების ნაციონალური საბჭო.

პეტროგრადი. ლატვის საზოგადოებრივმა ორგანიზატორებმა დაადგინეს შეადგინონ ლატიშების ნაციონალური საბჭო, რომელიც განაგებს ლატიშების და ლატვიის ნაციონალურ საქმეებს. საბჭო შესდგება 60 წარმომადგენლისგან. პირველი კრება შესდგება 24 ოქტომბერს ვალკაში.

სამაზრო კომისარების დადგენილება.

ნიჟნი ნოვგოროდი. სამაზრო კომისარების ყრილობამ საჭიროდ დაინახა დაარსდეს ყოველ მაზრაში თავისთვის დაცვა და მიწები და ტყეები მიწის კომიტეტს გადაეცეს.

გაზეთების დახურვა.

ჰელსინგფორსი. ვიბორგში დაბანაკებულ ყაზახთა პოლკის კომიტეტის დადგენილების თანახმათ დახურეს ფინური გაზეთი „კარიალა“. ჟურნალისტთა ცენტრალურ კავშირის დელეგატებმა შუამდგომლობა აღძრეს გენერალ გუბერნატორის წინაშე, გააუქმოს ეს დადგენილება. ის შეჰპირდა, რომ მისგან დამოკიდებულ ზომებს მიიღებს.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 23 ოქტომბერი. დვინის მიმართულებით, სევენცის ტბის დასავლეთით, გერმანელებმა საარტილერიო სროლა განაცხოველეს. დასავლეთ, სამხრეთსა და რუმინიის ფრონტზე მოწინავე რაზმები იბრძვიან.

კავკასიის ფრონტზე, კიალკიტ-ჩიფტლიკის რაიონში, ჩვენმა რაზმებმა მტრის სანგრების პირველი წყება დაიკავეს. ერზინჯანის სამხრეთ დასავლეთით, ქემახის მიმართულებით, მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პალმურის მიმართულებით მოწინავე რაზმები იბრძვიან.

ბალტიის ზღვაზე მდგომარეობა უცვლელია.

პარიზი. 22 ოქტომბერი. შმენ-დე-დამის ჩრდილოეთით, ვოკსალონის რაიონში, საარტილერიო სროლა სწარმოებს. რეიმსის ჩრდილო-დასავლეთით ხელ-ჩართულ ბრძოლის დროს მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მდინარე მაასის მარჯვენა ნაპირთან, საარტილერიო სროლა სწარმოებს. ლუნევილის ტყესთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. დეილის რაიონში მტერმა ხელ-ჩართული ბრძოლა დაიწყო.

ლონდონი. 22 ოქტომბერი. ლაშენდალის სამხრეთ დასავლეთით და გუზოკურის აღმოსავლეთით, მტრის იერიშები მოვიგერიეთ. იპრის ჩრდილოეთით ზარბაზნების სროლაა. დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი ბრძოლაა.

რომი. 23 ოქტომბერი. მდ. ტალიამენტოს ორივე ნაპირებთან საარტილერიო სროლაა. მტრის ჯარის მარცხენა ფრთის მიერ მოტანილ იერიშებს კონტრ-იერიშებით ვუპასუხეთ. ლაკე ჯუმელის ველზე მტრის სასტიკი იერიშები მოვიგერიეთ.

უკანასკნელი ფოსტა

ჯარიდან განთავისუფლებულმა ჯარისკაცებმა სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის სად. ჟმერინკაზე დაწვა მოუნდომეს მემანქანეს, ვინაიდან ორთქლმავლის გაფუჭების გამო მატარებელი გაჩერდა. სად. კრასნაია გორკაზე ჯარისკაცებმა მოითხოვეს რიგ გარეშე მატარებლის გაგზავნა. სცემეს საბჭოს წევრს. რკინის გზის მოსამსახურენი გაიქცნენ. სად. კრემენჩუგში ჯარისკაცები მგზავრების ბარგს იტაცებენ.

მთავარ ეკონომიურ კომიტეტთან დროებითი მთავრობის განკარგულებით დაარსდა ცენტრალური საუწყებთაშორისო ორგანო, რომლის მოვალეობას შეადგენს დემობილიზაციის საქმის მოგვარება.

ქალაქის წარმომადგენელთა ყრილობაზე მოსკოვში არჩეულ იქნა მთავარი კომიტეტი: 21 სოც. დემ., მათში 4 ბოლშევიკი და 26 ესერი.

სამხედრო სამინისტროსთან არსებული პოლიტიკური განყოფილება იუწყება, რომ პეტროგრადში მოსალოდნელი გამოსვლა მეტად აღელვებს ფრონტს. ჯარის კომიტეტებისაგან დეპეშები მოდის, სადაც მოითხოვენ მიეცეს ფრონტს საშუალება ბოლო მოუღოს ზურგში გამეფებულ უწესოებას.

ფრონტის სარდლებს, კომისარებს და კომიტეტებს ეცნობა მთავარ-სარდლის განკარგულება, რომ სიკვდილით დასჯის განაჩენები განსაკუთრებული განკარგულების მოხდენამდე სისრულეში არ იქნეს მოყვანილი. ეს განკარგულება მოთავსებული ყოფილა საარმიო უწყებაში, მაგრამ სამხედრო სამინისტროსთვის, როგორც „ნ. ჟ.“ გადმოგვცემს, ჯერ არ გადაუციათ.

ამხანაგებო!

საარჩევნო სიები უკვე გამოქვეყნებულია

თქვენი წმინდა მოვალეობაა დაუყოვნებლივ მიიღოთ ზომები, რომ არავინ დარჩეს სიაში შეუტანელი. 27 ოქტომბერს უკანასკნელი ვადაა სიების შესწორების.

ახალი ამბები

◆ **ახალი პურის ბარათების დარიგება.** 5 ნოემბერს უთავდება ვადა ძველ ბარათებს. 27 ოქტომბრიდან დაიწყებენ ახალ ბარათების დარიგებას ყველა უბნის სასურსათო კომიტეტებში. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის გამგეობის განკარგულების თანახმათ პურის ახალი ბარათების მისაღებათ უნდა წარადგინონ ძველი ბარათები და შაქრის ბარათი. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ქალაქის სასურსათო კომიტეტმა იცოდეს, ვის ეძლევა პურის ბარათი, ვინაიდან ყველა ბარათების საფუძველი არის შაქრის ბარათი. სურსათის თანასწორათ განაწილებლათ და აგრეთვე ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა, რომ დაწესებულებებიც მხოლოდ სასურსათო კომიტეტის მიერ მიცემულ ბარათებით აძლევდენ თავის მოსამსახურეებს შაქარს.

◆ **არჩევნების გარშემო.** ამიერ კავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს, რომ ამომრჩეველთა ჯგუფმა, რომელმაც წამოაყენა თავისი სადეპუტატო კანდიდატთა სია და მოითხოვს თავისი წარმომადგენელი ყავდეს მაზრის, ქალაქის ან უბნის საარჩევნო კომისიაში, ამის შესახებ განცხადება უნდა შეიტანოს, სათემო კომისიაში, ან იმ კომისიაში, სადაც უნდათ თავის წარმომადგენლის გაგზავნა.

◆ **მისალმება.** ლანჩხუთიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „22 ოქტომბერს გამართული მრავალ რიცხოვანი მიტინგი ქ. ლანჩხუთისა სალამს უძღვნის რუსეთის დიდ რევოლუციის ბელადებს, გამობრძმედილ მებრძოლებს ძვირფას ამხანაგებს ნოე ჟორდანიას, კარლო ჩხეიძეს და კაკო წერეთელს“.

◆ **ბოროტმოქმედი კომისარი.** თფილისის მაზრის კომისარს ამხ. ლ. ასათიანს ხშირად მოსდიოდა ცნობები სართიჭალის რაიონის კომისარის თანაშემწე ქვათაძის ბოროტმოქმედების შესახებ. ამხ. ლ. ასათიანმა ეს ამბავი აცნობა ს.-დ. სათემო კომიტეტს. სათემო კომიტეტმა სინამდვილის გამორკვევა დაავალა ამხ. ან. ჭიაბეროვს, რომელმაც კომისარ ლ. ასათიანთან ერთად ადგილობრივ გამოიძია საქმე და აღმოაჩინა, რომ ა. ქვათაძე მართლაც სჩადიოდა თურმე ბოროტმოქმედებას. ქვათაძე უკვე გააძევეს სამსახურიდან, მის საქმეს გაარჩევს აგრეთვე ს. დ. სათემო კომიტეტი. დაითხოვეს სამსახურიდან აგრეთვე სართიჭალის სოფლის კომისარი და მისი მწერალი, რომლებსაც ბრალდებათ ქვათაძის ბოროტ-მოქმედებაში მონაწილეობა.

◆ **თვითგასამართლება.** 23 ოქტომბერს ჯარისკაცებმა მოჰკლეს მე 20 ოსურ პოლკის შტაბს-კაპიტანი ხუციევი. თვითგასამართლება შემდეგ პირობებში მოხდა: კახეთის მოედანზე (ავლაბარში) უთანხმოება ჩამოვარდა ერთ აფიცერსა და ჯარისკაცს გუკაჩენკოს შორის, რომელმაც მოინდომა თურმე ტრამვაის ვაგონში მარცხენა მხრიდან შესვლა, მიუხედავათ იმისა, რომ რიგში ბევრი ხალხი იდგა. აფიცერის წინადადებაზე ჩამოსულიყო ვაგონიდან, გუკაჩენკომ ლანძღვა-გინება დაუწყო მას და ფიზიკურათ შეურაცხყოფის მიყენებაც კი მოუნდომა. იქვე მდგომ შტ.-კაპ. ხუციევმა ვერ მოითმინა ყოველივე ეს და ორჯერ ესროლა რევოლვერი ჯარისკაც გუკაჩენკოს. სროლის ხმაზე მოგროვდა ჯარისკაცთა ბრბო და იქვე მოჰკლეს ხუციევი, რომლის გვამი დაადვეს დროგზე და ავლაბრის ხიდიდან მტკვარში გადააგდეს.

◆ **ქართული კორპუსი.** სამხედრო საქმეთა მინისტრის ამხანაგი აცნობებს ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომ სამხედრო მინისტრმა დაამტკიცა ქართული კორპუსის შედგენის გეგმა. კორპუსის უფროსათ ასახელებენ თფილისის გარნიზონის უფროსს ამხ. სტ. ახმეტელაშვილს.

◆ **სურსათი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა ჩრდილო კავკასიაში შეიძინა 390 ვაგონი კარტოფილი, 20 ვაგონი ხახვი, 10 ვაგონი მუხუდო, 50 ვაგონი საქონლის საკვები მასალა. განზრახული აქვთ ეს სურსათი ზღვით შემოიტანონ ნოვოროსიიდან.

◆ **მილიცია.** კერენსკიმ ბრძანება გამოსცა, რომლის თანახმათ მიიღებიან საუკეთესო საიმედო ჯარისკაცები.

— მთავარ საარტილერიო მმართველობამ მილიციის საქმეთა მთავარ მმართველობას გადასცა 2 ათასი თოფი (ვინტოვკა) და 12 ათასი პატრონი მილიციის შესაიარაღებლათ.

◆ **სახლის კომიტეტები.** 28 ოქტომბრიდან შეუდგებიან სახლის კომიტეტების მოწყობას და რწმუნებულების არჩევას. ის სახლები, რომლებშიაც მცხოვრებთა რიცხვი 10-ზე ნაკლებია, უნდა შეუერთდენ ერთმანეთს.

◆ **კავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოთა** ცენტრმა მ. და ჯ. დეპ. საბჭოთა ყრილობაზე თავის წარმომადგენლებათ აირჩია ნაზარიანცი, ძერძიბაშვილი, შეიხ-ულ-ისლამოვი, გ. ჯანსკი, ნუცუბიძე, მდივანი, ლორთქიფანიძე, მარტოვი, გოგუა, მენაღარიშვილი.

◆ **წარმოდგენა.** დღეს, სახალხო სახლთან არსებულ ქართ. წარმ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „იმედის დაღუპვა“ ადგილების ფასი 1 მ. 20 კ.—25 კაპეიკამდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კრებები და მიტინგები.

დღეს, დღის 12 საათზე, სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრთა კრება.

— დღეს, დილის 10 საათზე ძმ. ეფიმოვების ცირკში (მიხეილის პრ.) დანიშნულია თფილისის მილიციონერების საერთო კრება.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, სავაჭრო-სამრეწველო ინსპექციის კანტორაში (თათრის მოედანი) დანიშნულ ს კრება რ. ს.-დ. მ. პ. მე 6 რაიონულ კოლექტივის წევრებისა.

— დღეს, საღამოს 7 ს., დემოკრატიულ კლუბში „მუშტაიდ“-ში წაიკითხავენ ლექციას დამფუძნებელ კრების არჩევნებზე (პოლიუსკი) და ფიზიკიდან (მეფფერტი).

— ხვალ, საღამოს 5 ს., თფილისის კომიტეტის ბინაზე (გოლოვინის პრ. 12) დანიშნულია რ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტის წევრთა კრება.

— მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის აღმასრულებელ კომიტეტის წევრების მორიგი სხდომა დანიშნულია სამშაბათს მაგივრათ 26 ოქტომბერს საღამოს 7 ს.

პროვინციის ქრონიკა

ბათუმი. სათემო საარჩევნო კომისიას აზრათ აქვს დამფუძნებელი კრების არჩევნებში გამოყოს კერძოთ ქალთა საარჩევნო კურია ქართველ მაჰმადიან ქალთათვის.

— ახალი განკარგულების თანახმად განთავისუფლებულ იქნენ სამხედრო სამსახურიდან სახალხო მასწავლებლები.

— პროფესიონალური კავშირების ბიურო შეუდგა მუშათა კოოპერატივის დაარსებას. ამ მიზნით სამხედრო სამრეწველო კომიტეტიდან სესხათ აიღო 50,000 მანეთი.

გორის მაზრის სოც.-დემ. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შედიან: ს. კეცხოველი, ნ. პატარიძე, ნ. სიხარულიძე, მ. მარიამიძე და ამხ. გაბუნია.

— გორის მაზრის ცენტრალურ სოც.-დემ. კომიტეტის პრეზიდიუმი: თავმჯდომარე: ნ. იმნაიშვილი თავმჯდ. ამხ. ს. კეცხოველი. მ. მარიამიძე, მდივანი გაბუნია, ხაზინადარი ვარდოიანი.

სოფ. მთავარ ანგელოზი. (გომის საზოგადოება). აქ ივლისში ადგილობრივი მოწაფეთა ინიციატორობით ორჯერ დადგეს წარმოდგენა. შემოვიდა სულ რვა თუმანამდე. ხარჯს გარდა შემოსავალი გადადევს ადგილობრივ მომავალ უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოსათვის; ფული გადაეცა აქაურ კოოპერატივის გამგეობას აღნიშნულ დაწესებულების სასარგებლოდ.

კარგი იქნება, რომ მოწაფეები თავისუფალ დროს გამართავდენ ასეთ წარმოდგენებს.

ს. დიდი ჯიხაიში. 15 ოქტომბერს აქ გაიმართა დიდი მიტინგი, რომელსაც დაესწრო კაკო წერეთელი. ხალხი აღფრთოვანებული ტაშისცემით და გაუმარჯოს კაკოს ძახილით ეგებება მას და ხელით აჰყავთ ცოცხალი ყვავილებით მოკაზმულ ტრიბუნაზე. ჯიხაიშის სახელით მიესალმება ამხ. ა. შუბლაძე და მოკლედ აცნობს კრებას კაკოს ბიოგრაფიას, აგრეთვე მიესალმა მას იანეთის წარმომადგენელი, მასწ. ს. კოხრეიძე. შემდეგ კაკომ მიმართა კრებას და სულ ოცი წუთი ილაპარაკა, მან მომხიბლავი სიტყვებით დაასურათხატა მიმდინარე მომენტი და დაასრულა მით, რომ დღეს თვით ხალხია გმირი და მან გმირულად უნდა მიიყვანოს რევოლუცია დემოკრატიულ რესპუბლიკამდეო.

ამხანაგებო!

არჩევნებს დიდი ხარჯი სჭირდება.

პარტიას მხოლოდ თქვენი შემოწირულობით შეუძლია აწარმოოს მასიური საარჩევნო მუშაობა. გაიღეთ თითო დღის ჯამაგირი პარტიულ საარჩევნო ფონდის სასარგებლოთ.

რესპუბლიკის დროებითი საბჭო

(პეტ. დეპ. სააგ.)

23 ოქტომბერს კრება გაიხსნა ავქსენტიევის თავმჯდომარეობით. დაესწრო საგარეო საქმეთა მინისტრი ტერეშჩენკო. თავმჯდომარემ წაიკითხა ომსკის ოლქის სამხედრო გამომძიებლის დეპეშა, რომლითაც ის მოითხოვს დაატუსაღონ რესპუბლიკის საბჭოს წევრი პრაპორშჩიკი (გვარი ვერ გავარჩიეთ). პრეზიდიუმის წინადადებით ეს საქმე კომისიას გადაეცა. განაგრძეს საგარეო პოლიტიკაზე კამათი.

კარელინი მემარცხენე ს. რევოლუციონერთა სახელით ამბობს, რომ რადგან ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა ფრიად მძიმეა, რევოლუცია გადაჭრით მოითხოვს ომს ბოლო მოეღოს. საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკა ვერ აკმაყოფილებს მემარცხენე ს. რევოლუციონერებს, რადგან ის იმპერიალისტურია. თითქმის ეხლაც, მიუხედავათ რევოლუციონური დემოკრატიის განსაზღვრულ პროგრამისა, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ერთგვარი მემკვიდრეობა მოსჩანს. საზონოვის მემკვიდრე იყო მილიუკოვი და მილიუკოვის კი ტერეშჩენკო.

ლიტველების ნაციონალურ ორგანიზაციების წარმომადგენელი იანუშკევიჩი ამბობს, რომ რევოლუციონურ დემოკრატიის მიერ წამოყენებული ხალხის თვითგამორკვევის უფლების განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ომს ბოლო მოეღება. შემდეგ ის ლაპარაკობს სკობელევის ნაკაზის შესახებ და ამბობს, რომ ამ ნაკაზში აშკარად არის ნათქვამი ხალხთა თვითგამორკვევის შესახებ.

ვრონსკი სახელმწიფოებრივ ს.-რევოლუციონერების სახელით აცხადებს, რომ ის ვერ დააკმაყოფილა საგარეო პოლიტიკის შესახებ წარმოთქმულმა სიტყვებმა. ვრონსკი მადლობას უძღვნის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ ის უარს არ ჰყოფს დემოკრატიულ ფორმულას. სრუტეების შესახებ ორატორი ამბობს, რომ ისინი საჭიროა რუსეთისთვის რომ პური გაზიდოს; ამიტომ სრუტეები ნეიტრალური უნდა იყოს.

პეშეხონოვი ამბობს, რომ საგარეო პოლიტიკაში საჭიროა ერთსულოვნება. აქ კი გამოირკვა, რომ ეს ჩვენში არ არის. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია სკობელევის ნაკაზის შესახებ კამათმა. სამინისტრო დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს მოკავშირეებთან მოლაპარაკებას, რომ გამოარკვიოს ომის მიზნები და უთხრას ქვეყანას, რომ მოკავშირენი მოგერიებით ომს აწარმოებენ. როცა ამას ჩვენი მტრები სცნობენ და დაგვეთანხმებიან მიიღონ ჩვენი ძირითადი დებულებები, მაშინ შესაძლებელია დავიწყოთ ზავის შესახებ მოლაპარაკება. ხოლო უკეთუ გერმანია ამით არ დაკმაყოფილდა და არ დაგვეთანხმა ზავზე მოსალაპარაკებლათ, ჩვენ უნდა განვაგრძოთ მოგერიება და მით დავიცვათ რუსეთის ღირსება და ხელშეუხებლობა.

ყაზახთა კავშირი

(პ. დ. ს.)

კავკაზი. 21 ოქტომბერს დასრულდა ყაზახთა და კავკასიის მთიულების კონფერენცია, კონფერენციაზე ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც დაარსეს „ყაზახთა ჯარების და კავკასიის მთიულების სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი“. კავშირის მიზანია საჩქაროთ დაარსდეს რუსეთში დემოკრატიული ფედერატიული რესპუბლიკა. მიეცეს კავშირის წევრებს ცალკე შტატების დაარსების უფლება. კავშირის სურვილია, შესდგეს რუსეთში ძლიერი მთავრობა, რომელიც დაყრდნობილი იქნება ქვეყნის ყოველ ცოცხალ ძალებზე, კავშირი ყოველ ღონეს იხმარს დაეხმაროს მთავრობას გარეშე მტერთან ბრძოლაში; დასასრულ კავშირი მოითხოვს ხალხის თვითგამორკვევის საფუძველზე საპატიო ზავს და ქვეყნის წესიერების დამყარებას. კავშირის თვითეულ წევრს შინაურ საქმეებში შეუძლია დამოუკიდებლათ იმოქმედოს, იქონიოს დამოკიდებულება და ხელშეკრულება დასდოს, უკეთუ ეს კავშირის მიზნის წინააღმდეგი არ არის. კავშირს სათავეში უდგას გაერთიანებული მთავრობა. კავშირის თვითეული წევრი გზავნის მთავრობაში ორ თავის წარმომადგენელს. გაერთიანებული მთავრობას სისრულეში მოჰყავს კავშირის მიზანი, დამოკიდებულებას იჭერს როგორც ცენტრალურ მთავრობასთან ისე რუსეთის ხალხის მმართველ ორგანოებთან. სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირს ჰყავს თავისი წარმომადგენელი ცენტრალურ მთავრობაში. გაერთიანებულ მთავრობას მუდმივი ბინა აქვს ქ. ეკატერინოდარში. კავშირში შედის დონის, ყუბანის, თერგის და ასტრახანის ყაზახთა ჯარები, კალმიკები, დაღესტნის და ზაქათალის ოლქის ყველა ერები, მთიულები: თერგის და ყუბანის მხრის, სოხუმის ოლქის და სტავროპოლის გუბერნიის ბარის ხალხი.

საარჩევნო სამზადისი

ხაშური. 22 ოქტომბერს ხაშურის რაიონის სოც.-დემოკრატიულ მუშ. პარტ. ორგანიზაციის კოლექტივის ინიციატორობით მოწვეულ იქნა სახალხო მიტინგი. მიტინგის მოწვევის მიზანს შეადგენდა დამფუძნებელ კრების საარჩევნო კამპანია. ორატორთა შორის ესერების პარტიის ორატორებიც იყვნენ ჩაწერილი. მიტინგის თავმჯდომარეთ არჩეული იყო ამხ. ნ. იმნაიშვილი. მიტინგი დასაწყისში მშვიდობიანათ მიმდინარეობდა და კარგათაც დასრულდებოდა, რომ ზოგიერთ უმეცარი საქმიანობით გატაცებულ „ეკაცუნებს" არ დაერღვიათ წესიერება. ტრიბუნაზე ადის ქონზეფ ტიროევი (მოწაფე) და თხოულობს სიტყვას რიგ გარეშე. თავმჯდომარე მიუთითებს მიტინგის მიერ შემუშავებულ წეს-რიგზე და ორატორთა სიაზე, მაგრამ ის მაინც დაჟინებით თხოულობს სიტყვას და იქ მყოფ ჯარისკაცებს ამაღელვებელი სიტყვებით მიმართავს ჩვენი ამხანაგების წინააღმდეგ ასამხედრებლათ. ამას ზედ დაერთო ერთი პოლპორუჩიკის (ყოფილი შავ-რაზმელია და დღეს-კი ფედერალისტი) ივანე ტატიშვილის პროვოკაცია, რომელიც ჯარისკაცებს უყვიროდა: „მოუსცხოთ", დაანგრიეთ ტრიბუნა, მოუსპოთ სოც.-დემოკრატებიო, და ამის შემდეგ რამდენიმე ჯარისკაცი მუშტებ-მოღერებული ავარდენ ტრიბუნაზე და იქ მყოფთ—თავმჯდომარეს და თფილისიდან ჩამოსულ ამხანაგს ალ. ლ—ძეს მიაყენეს-რა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ფიზიკურათაც მოუნდომეს შეურაცხყოფა. ხალხში ჩაიჩქილი ატყდა. რამდენიმე ამხანაგს კიდევაც დაარტყეს. ზოგიერთმა ჯარისკაცებმა მოინდომეს ჩვენი დროშების დახევა და ტრიბუნის დანგრევა, მაგრამ ჩვენი ამხანაგების მოფიქრებულმა მოქმედებამ და თავის შეკავებამ ამ განზრახვებს ხელი შეუშალა და მოსალოდნელი სისხლის ღვრა თავიდან აგვიცილეთ. ხაშურელ ესერების ასეთი მოქმედება პირველი არ არის. ერთი „ცნობილი" პიროვნების ხელმძღვანელობით, რომელსაც კუდი ფედერალისტებთან აქვს გადაბმული, ბევრჯელ მოინდომეს ხაშურელმა ესერებმა ჩვენს წინააღმდეგ პროვოკაციის გამოწვევა, მაგრამ მათმა ცდამ ყოველთვის უნაყოფოთ ჩაიარა. 22 ოქტომბრის ინციდენტი ხაშურელი ესერების—ტიროევისა და ტატიშვილის ხელმძღვანელობით, ნაყოფია ჩვენი მოწინააღმდეგე პარტიების იდეიური სისუსტის. მათ არ შესწევთ არც ძალა და არც ნიჭი პოლიტიკური ბრძოლა აწარმოვონ და ამიტომ მიმართავენ ხოლმე ასეთ უმსგავსო საშუალებას და ამ გზით ჰფიქრობენ ნიადაგის გამაგრებას.

ხაშურის რაიონის დემოკრატია იმდენათ მომზადებულია პოლიტიკურათ, იმდენათ წინდახედულია, რომ კარგათ იცის მტერ-მოყვარის გარჩევა, საჭიროების დროს თავისი უფლებების დაცვაც და ნუ დაავიწყდებათ ხაშურელ „პოლიტიკოსებს", რომ მათი ფიზიონომია უკვე გამორკვეულია და ასეთი ფანდებით ფონს ვერ გავლენ. პ. ბ.

თიანეთი. 17 ოქტომბერს გაიმართა სამაზრო ს.-დ. კომიტეტის კრება. მოხსენებები გააკეთეს თფილისელმა ამხანაგებმა. გადაწყდა გაიმართოს კრებები, მოეწყოს სააგიტაციო მიტინგები და სხ. განაწილებულ იქნა სამუშაო ამხანაგთა შორის.

— 18 ოქტომბერს ჩამანო—ახალ სოფლის საზოგადოების სკოლაში მოხდა საზოგადოების წარმომადგენელთა, სოფლის საბჭოთა და მოწინავეთა კრება. ილაპარაკეს ულ. მგელაძემ და სხვა ამხანაგებმა. კრება დილიდან საღამომდე გაგრძელდა, შეიმუშავეს საარჩევნო მზადების გეგმა. საარჩევნო კომისიაში აირჩიეს გიორგი მეშველაშვილი, სანდრო ნიშლოშვილი და პავლე აბრამიშვილი.

— სიების შედგენა დამთავრდა. მთელი მხარე (თიანეთის მაზრა) ხუთ დიდ რაიონად და 33 საარჩევნო უბნებათ დაიყო: 1) თუშ-კახეთის რაიონში 13 საარჩევნო უბანია, 3533 კომლი —6966 ამრჩეველი, 2) თიანეთის რაიონში 6 საარჩევნო უბ. 1368 კომლი—3138 ამრჩეველი, 3) ერწოს რაიონში 7 საარჩევნო უბანი, 1654 კომლი, 3915 ამრჩეველია, 4) ფშავეთის რაიონში 2 საარჩევნო უბანია, 692 კომლი, 1691 ამრჩეველი, 5) ხევსურეთის რაიონში 5 საარჩევნო უბანია, 737 კომლი, 1936 ამრჩეველი. სულ 7,984 კომლია, 17,646 ამრჩეველია.

ამათ რიცხვში არ შედიან ის ქისტები, რომელნიც ამიერ-კავკასიის საზღვრებში ირიცხებოდენ და თიანეთის მაზრაში შემოდიოდენ, აწერის დროს მათ უარი განაცხადეს სიაში შეტანაზე.

დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდის სასარგებლოთ მივიღეთ: ჯ.-კ. ალექსანდრე ტყეშელაშვილისაგან 50 მ., ამხ. გ. რ. ლომიძის მიერ შეგროვილი 55 მ. ამხ. დურბელაშვილის მიერ შეგროვილი 41 მ.

სადღეისო წერილები

(გაგრძელება).

ომი მეტად მძიმე ტვირთათ დააწვა წვრილ ბურჟუაზიას ომის ხარჯებმა, სახელმწიფოს დავალიანებამ და ქაღალდის ფულის ნიაღვარმა საზღაპრო სიძვირე შექმნეს, რომელიც ერთი ორად გააორკეცა ბიუროკრატიულმა რეჟიმმა. ბევრს მათგანს ომმა საბოლოოთ დაუკარგა იმედი გამდიდრებისა, ასე, რომ მათ მომავალში კიდევ უარესი, ნახევრათ პროლეტარული ცხოვრება ელოდათ, რადგან ომის დაბოლოვება კიდევ არ ნიშნავს ომის შედეგების და ეკონომიური არევ-დარევის უმალვე მოსპობას. პირიქით, სიძვირე ომის შემდეგაც ისევ დარჩება. ამრიგათ თვით ეკონომიურმა ვითარებამ ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის დიდი ნაწილი პროლეტარიატის მოკავშირე გახადა.

ასევე დაემართა გლეხობის ღარიბ ნაწილს. მუშა ხელის ჯარში გაწვევამ, სიძვირის საშინელმა ზრდამ მეტად შევიწროებულ მდგომარეობაში ჩააყენა გლეხობა. მიწის სიცოტავეს ზედ დაერთო უფართოდეულობა, უფეხსაცმლობა, უიარაღობა და სხვ. გლეხობა შიმშილობის მსხვერპლად უნდა გადაქცეულიყო. და აი, ეს მას ხდიდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლად, მაგრამ შევიწროვება ყველაზე უფრო საგრძნობი ქალაქის პროლეტარიატისათვის იყო. ის ხედავდა, რომ ომის გამო აუარებელი სიმდიდრე გროვდება მწარმოებელთა ხელში და მას ნება არ აქვს თავისი მოთხოვნილებები წარუდგინოს. ამისათვის მას ტყვიას უსროდენ, ასახლებდენ ან ბრძოლის ველზე ჯარში აგზავნიდენ. მუდმივ უპურობას და უმორცხობას ქალაქში, სანოვაგის არა ჩვეულებრივ სიძვირეს მცირე ხელფასთან ერთად შიმშილის კარებამდე მიყავდა მუშათა კლასი.

ამრიგათ მებრძოლნი ირაზმებიან; ერთი მხრით ნიკოლოზის პოლიტიკით უკმაყოფილონი, მაგრამ თვითმპყრობელობასთან შეთანხმების გზაზე მდგომნი,—ომის აკულები,—ბურჟუაზია, მხოლოდ მეორე მხრით—ომისაგან გაღატაკებული ქალაქის და სოფლის წვრილი ბურჟუაზია პროლეტარიატის მეთაურობით. ბრძოლა გაიმართა პეტროგრადის ქუჩებში 27 თებერვალს. იმ დროს, როდესაც ბურჟუაზია ბჭობდა სახელმწიფო სათათბიროში და იმის ფიქრში იყო, თუ როგორ აღედგინა წესიერება, პროლეტარიატი თანამდებობიდან ანთავისუფლებდა ძველ ბიუროკრატიულ წარმომადგენლებს და „სახალხო" წარმომადგენლებს დარბაზში ამწყვდევდა. ხალხის ამოძრავებამ აიყოლია ბურჟუაზია, მაგრამ უკანასკნელი შეეცადა მოძრაობა თავისი მიზნების განსახორციელებლათ გამოეყენებია. ის უგზავნის დეპეშებს ნიკოლოზს,—არიქა თავს დროზე უშველეო. შემდეგ მიდის მასთან და თხოულობს: შენი შვილის სასარგებლოთ მოაწერე მანიფესტს ხელიო, რაზედაც დაბოლოს მეფე თანხმდება გადასცეს რუსეთი, როგორც ვითომ მისი მამა-პაპეული, თავის ძმას. მაგრამ პეტროგრადის პროლეტარიატს თვითმპყრობელობის ბედი უკვე გადაეწყვიტა. მას შეუქნია თავისი ორგანო აჯანყებულ არმიასთან ერთად: მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო, ამავე დროს მუშათა გვამებზე და პეტროგრადის ბარიკადებზე გადაბიჯა ბურჟუაზიამ და მართვა-გამგეობას სათავეში მოექცა. დროებითი მთავრობა აიძულა პროლეტარიატმა დამფუძნებელ კრებამდე ვინმეს გამეფებაზე უარი ეთქვა. პეტროგრადის პროლეტარიატმა დროებითი მთავრობას პირით მთელს რუსეთს უკარნახა დამფუძნებელი კრების მოწვევის აუცილებლობა.

გუჩკოვ მილიუკოვის სამინისტრო—ეს ბატონობაა სხვილი და საშუალო ბურჟუაზიის, როგორც სოფლის, ისე ქალაქის.

მთავრობის და რევოლიუციონურ დემოკრატიის შორის შეტაკება მოსალოდნელი იყო, და სწორეთ ზავის საკითხში, იმ საკითხში, რომლის გამო ბურჟუაზიას და თვითმპყრობელობას უთანხმოება მოუვიდათ და პირველი ოპოზიციონერის როლში გამოვიდა. ცხადა ამავე საკითხმა ბურჟუაზიას უკან უკან დაახევინა.

18 აპრილის მილიუკოვის ნოტა,—ეს რუსეთის ბურჟუაზიის გულის ზრახვათა გამომჟღავნება იყო, მაგრამ ამავე დროს იგი აღმოჩნდა მის დასაფლავების მარაბათ.

ბურჟუაზია უძლური აღმოჩნდა და მან უომრათ დასცალა პოზიციები. ამ ხნიდან იწყება კოალიციის ექსპერიმენტები, რომელნიც დღემდისაც არ დაბოლოვებულა.

კოალიციური მთავრობა—ნაყოფია წვრილ ბურჟუაზიული შიშის პასუხისმგებლობის წინ, იმ უზარ-მაზარი პასუხისმგებლობის, რომელიც თან ახლავს მართვა-გამგეობის ხელში აღებას დღევანდელ რთულ პირობებში.

მაგრამ რაც დრო მიდის, რევოლიუციონური დემოკრატიის წინ პირდაპირ დგება კითხვა ძლიერი მთავრობის შესახებ. ის უნდა იქნეს ან კონტრ-რევოლიუციონური, ე. ი. ბურჟუაზიისაგან შემდგარი,—ეს იქნება რევოლიუციის შეძენათა მეტ ნაწილთან გამოთხოვება, ან ის უნდა იქნეს რევოლიუციონური, ე. ი. რევოლიუციონურ დემოკრატიის შეთანხმების ნაყოფი და ეს იქნება რევოლიუციის გაღრმავება, აქტიური საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოება. კოალიციონური მთავრობა დღევანდელ სოციალურ და ეკონომიურ პირობებში ნიშნავს ორი მოპირდაპირე, ერთი მეორეს მოწინააღმდეგე ძალთა შეთანხმებას. და ეს კი ერთი მიზეზთაგანია მთავრობის სისუსტის. კორნილოვის ამბოხება ამ მხრით მეტათ დამახასიათებელია.

სამართლიანათ აღნიშნავენ, რომ კორნილოვი ბურჟუაზიის კანდიდატია რუსეთის ნაპოლეონის ადგილზე, იმ ბურჟუაზიის, რომელსაც ვერ აკმაყოფილებს რუსეთის რევოლიუციის საზოგადოებრივი და ეკონომიური მიზნები, რევოლიუციონურ დემოკრატიის მიერ წამოყენებული ფორმულა: უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე. მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდება და ამით რევოლიუციის განვითარების შეჩერება—აი მისი მიზნები. კორნილოვს სურდა ძლიერი კონტრ-რევოლიუციონური მთავრობის შექმნა და ამისათვის შეეცადა დემოკრატიული ფრონტის გარღვევას. ის აქ მოფიქრებულათ მოქმედებდა: საბჭოების, ესე იგი პროლეტარიატის განადგურება და შემდეგ კი საერთოდ რევოლიუციის და დემოკრატიის დამხობა. ეს ნაცადი ხერხია. პროლეტარიატის გათიშვა, წვრილი ბურჟუაზიის უხელმძღვანელოთ დატოვება, — აი მისი მიზანი. ბელადების უჯაროთ დამარცხება და ჯარის უბელადოთ—აი მისი ტაქტიკა. ჯარით ბურჟუაზია მუდამ სარგებლობდა თავისი ბატონობის განსამტკიცებლად, მაგრამ აქ ჯარმა უმტყუნა. კორნილოვმა ვერ შესძლო მისი ძველ ნიადაგზე გარდაქმნა, და ასე მისი ხალხის მოძრაობის წინააღმდეგ გამოყენება.

ბურჟუაზიის შეტევამ ვერ გასტეხა მასზე უფრო ძლიერი დემოკრატიული სიმაგრე. მაგრამ თუ შიგნით—რუსეთში, კონტრ-რევოლიუცია სუსტი აღმოჩნდა, მას მოკავშირეები ცოტა ჰყავდა, სამაგიეროთ მას გარეშენი გამოეხმაურენ. ეს არის საერთაშორისო ბურჟუაზია; ეს არის ევროპის რეაქცია, რომლის სულის ჩამდგმელი იყო წინეთ რუსეთის თვითმპყრობელობა.

დღეს ის რუსეთის რევოლიუციით შეშინებული ნელ-ნელა ასპარეზს იცვლის და ზავზე ლაპარაკს იწყებს და ისიც რევოლიუციონურ რუსეთის ხარჯზე.

უკანასკნელი მოკავშირე რუსეთის კონტრ-რევოლიუციისა გაცილებით უფრო საშიშია, ვინემ კორნილოვის ყაზახთა დივიზიები, და ამას უნდა მიექცეს, რაც შეიძლება, მეტი ყურადღება იმათგან, ვის ხელშიც არის რევოლიუციის ბედი, ე. ი. მუშათა კლასის და საერთოდ რევოლიუციონურ დემოკრატიის.

ამ რიგათ ჩვენ ზემო-ნათქვამიდან შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: რუსეთის ჯარის დამარცხებამ უკმაყოფილება დაბადა ბურჟუაზიულ წრეებში და ისინი ოპოზიციის მოკავშირეთ გახადა: ორ ცეცხლ შუა ყოფნამ, მუშათა კლასის წინ შიშმა და იმპერიალისტურ ისწრაფებათა უნაყოფოთ ჩატარებამ აიძულეს ბურჟუაზია ორპირულ პოლიტიკას დასდგომოდა და ეძებნა შეთანხმების გზები რომანოვის ტახტთან.

ამის შედეგია ერობათა და ქალაქების კავშირი, სამხედრო სამრეწველო კომიტეტები, დაბოლოს პროგრესიული ბლოკი და მის მიერ წამოყენებული ფორმულა საზოგადოებრივი ნდობის სამინისტროსი, პასუხისმგებელ სამინისტროს მაგიერ.

1905 წ. რევოლიუციის შემდეგ დამდგარმა რეაქციამ და ბურჟუაზიის თვითმპყრობელობასთან შეკავშირებამ ხელი შეუწყო ქალაქის და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის დაკავშირებას პროლეტარიატთან.

ომმა და მის მიერ გამოწვეულმა ეკონომიურმა არევ-დარევამ, რასაც აორკეცებდა თვითმპყრობელ ბიუროკრატიის პოლიტიკა, საბოლოოთ მოსწყვიტეს წვრილი ბურჟუაზიის უმრავლესობა ჩვეულებრივ მდგომარეობას და დააყენეს გაპროლეტარების გზაზე, და ეს პროცესი მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო ხანგრძლივი ხდება ომი.

საარაკო სიმდიდრის დაგროვებამ ბურჟუაზიის ხელში, ერთი მხრით, შიმშილობამ და არაჩვეულებრივმა სიძვირემ ქალაქებში, მეორე მხრით, მუშათა კლასი უკიდურესს მდგომარეობაში ჩააგდო, რასაც ერთი-ორად აძლიერებდა თვითმპყრობელობის პოლიტიკა, რომლის წყალობით მუშათა კლასს მოსპობილი ქონდა საშუალებანი თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

აქედან იშვა რევოლიუცია.

რევოლიუციამ პოლიტიკური უფლება ხელთ ჩაუგდო იმპერიალისტურ ბურჟუაზიას—გუჩკოვ-მილიუკოვებს, რომელნიც წინ გადაეღობენ რევოლიუციონურ დემოკრატიის სურვილებს, ზავის ჩამოსაგდებად მიმართულს. ამან დასვა საკითხი დემოკრატიის ხელში მართვა-გამგეობის გადასვლისა. სიძნელე ქვეყნის მართვა-გამგეობის ასეთ არაჩვეულებრივ დროს აიძულებს დემოკრატიას შეთანხმების გზა ეძიოს შეძლებულ კლასებთან. ეს კოალიციონური პრინციპია და იმავე დროს ერთი მიზეზთაგანი მთავრობის სისუსტისა.

კორნილოვის ამბოხებამ საფუძვლიანი გადამიჯვნა მოახდინა სოციალურ ძალთა-განწყობილებაში: ერთი მხრით დადგა რევოლიუციონური დემოკრატია, მეორე მხრით—კონტრ რევოლიუციონური ბურჟუაზია.

იმავე ამბოხებამ დაგვანახვა, რომ რევოლიუციას საშინელი მტერი ჰყავს,—ესაა საერთაშორისო ბურჟუაზია, რომელსაც რუსეთის რევოლიუცია ძილს უფრთხობს და რომელთანაც ბრძოლა აუცილებლათ დასჭირდება დემოკრატიას.

მ. ცეცაშვილი.

სოც.-დემ. პარტიაში

თფილისი. 18 ოქტომბერს შესდგა მეექვსე რაიონის კოლექტივის მორიგი კრება. დღის წესრიგი: მოხსენება საოლქო ყრილობის შესახებ, მოხსენება თფ. კომიტეტის წარმომადგენლისა, არჩევნების მომწყობი კომისია, განცხადებები, ხარჯები კოლექტივის და მცირე კოლექტივისა. ვ. ალხანოვმა გააკეთა რუსულათ მოხსენება საოლქო ყრილობის შესახებ. მას შემდეგ ამხ. ი. ირემაშვილმა ქართულათ განმარტა, თუ რამდენმა მიმართულებამ იბრძოლა ყრილობაზე თავი და რა დამოკიდებულება სუფევდა მათ შორის. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. დაბოლოს კრება ამტკიცებს მოხსენებას და გამოსთქვამს სურვილს, რომ ადრე იქნას გამოცემული საოლქო ყრილობის ნამუშევარი ცალკე წიგნაკათ, რითაც საშუალება ექნებათ ყველა ამხანაგებს ვრცლად გაეცნონ ყრილობის დადგენილებას. შემდეგ აკეთებს მოხსენებას პირველად რუსულად და შემდეგ ქართულად თფილისის კომიტეტის წევრი კ. თაღაკვაძე. კრებამ იქონია მსჯელობა ახალ საწევრო ბილეთების დაკვეთის შესახებ და გადასწყვიტა შეტანილ იქნას 100 მანეთი თფილისის კომიტეტში. არჩევნების მომწყობ კომისიის შესახებ კრებამ მოისმინა ორივე მცირე კოლექტივების თავმჯდომარეთაგან მოხსენება. ი. ირემაშვილმა განმარტა დამფუძნებელ კრების მნიშვნელობა და მოუწოდა ამხანაგებს, რომ მათ გაათკეცონ ენერგია ამ დიდი საქმის სამზადისში. კრებამ კამათის შემდეგ ამის შესახებ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: მოწვეულ იქნას ცალ-ცალკე მცირე კოლექტივების კრებები და გამოირკვეს მათი ადგილობრივი ძალები. თუ საკმარისი არ აღმოჩნდეს ადგილობრივი ძალები, მაშინ მოწვეულ იქნას სხვა რაიონებიდან. დანარჩენი კითხვები გადაიდო შემდეგ მორიგ კრებისთვის. ნა—

ბათუმი. 20 ოქტომბერს მოხდა სოც.-დემ. პარტიის მესამე რაიონის კრება. კრებაზე ამხ. მსხრიკაძემ ამიერ კავკასიის მე-7 პარტიული ყრილობის შესახებ მოხსენება გააკეთა. №

მუშათა შორის

თფილისი. 22 ოქტომბერს შესდგა შეერთებული კრება პროფესიონალური კავშირების: სამშენებლო მუშების, მღებავების და სახურავი ქარხნების. ბევრ მომუშავეთა კავშირიდან არავინ არ დაესწრო, არ ვიცით, რა მიზეზით. განსარჩევი იყო საკითხი მონათესავე კავშირების შეერთების შესახებ. კამათის შემდეგ შემოიტანეს წინადადება, რადგან ყველა კავშირის წევრები არ დაესწრნენ და კრება პირველათაა მოწვეული, ამიტომ შემდეგ რომ არავითარი საყვედური არ იყოს, უმჯობესი იქნება ახლა ეს კრება სათათბიროთ ჩავთვალოთ და მოვიწვიოთ შემდეგი კრებათ, შევეცადოთ, რომ მომავალ კრებას უფრო მეტი წევრები დაესწრონ და თუ მაინც არ მოვლენ, კრება მაშინ კანონიერი იქნება და სავალდებულოც ყველა წევრთათვისო. ეს წინადადება იქნა მიღებული. აირჩიეს კომისია ყველა კავშირიდან ორ-ორი კაცი. კომისიას მიენდო გაეცნოს ყველა ზემო დასახელებული კავშირის მდგომარეობას და გააკეთოს შემდეგ კრებაზე მოკლე მოხსენება, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან კავშირები, მათი ღირსება-ნაკლულოვანებანი, რაც გაუადვილებს კრებას საკითხის ყოველ მხრივ გაშუქებას. ამავე კომისიას მიენდო გამოძებნოს ბინა, გამოაცხადოს გაზეთებში კრების დრო და ადგილი და შეეცადოს, რაც შეიძლება ახლო ხანში მოიწვიოს ის. ი. ბ.

მთიულეთის ამბები

სექტემბრის პირველ რიცხვებიდან ფშავ-ხევსურეთ-თუშეთში ძარცვა-გლეჯამ მასსიური ხასიათი მიიღო. შეიარაღებული ქისტების რაზმები თავს ესხმოდენ სოფლებს, აწიოკებდენ მცხოვრებთ და იტაცებდენ ნახირს.

ზაფხულში ქისტებთან მოლაპარაკებამ ნაყოფი გამოიღო. აგვისტოს ბოლო რიცხვებში ბნელმა ძალებმა და ყაჩაღთა ბელადებმა მოგვარებული საქმე ჩაფუშეს, რითაც განსაკუთრებული პირობები შექმნეს: აიწეწა საქმეები, დაირღვა მყუდროება, დაიწყო მღელვარება. თიანეთის ამხ. კომიტეტმა, რომლის კრებაზე მონაწილეობას იღებდა თუშთა და ფშავთა წარმომადგენლები, მიიღო დადგენილება, რათა გაეგზავნილიყო ქისტეთში (განსაკუთრებით მითხოს ხეობაში) მაზრის კომისარი, მილიცია და ჯარის ნაწილი, რომელნიც გამართავდენ მოლაპარაკებას ქისტებთან, მოითხოვდენ ყაჩაღებს, ზარალს და სხვა. დადგენილება მოხსენდა ამ. კავკ. საგან. კომ. რწმუნებულს, თფ. გუბერნიის კომისარიატს და ცენტრებს. მათ ნება დართეს თელავიდან წასულიყო ნახევარი როტა ჯარი და მოეთხოვათ ქისტებისათვის თავდასხმების შეჩერება.

2 ოქტომბერს 50-დე ჯარისკაცი, მაზრის კომისარი, მილიცია და მოხალისე თუშები შეიკრიბენ თიანეთში. მოხალისე თუშებს გამოუცხადეს: ვინაიდან მოსალოდნელია ხიფათი, ამიტომ, ვისაც არ სურთ წასვლა, უკან გაბრუნდითო. ნაწილი თუშებისა დარჩა, მხოლოდ ნაწილი წავიდა. 2 ოქტომბერს თიანეთიდან წასული ექსპედიცია 5 ოქტომბერს დილის 12 საათზე მივიდა შატილის ხეობაში (ხევსურეთი), ე. ი. ქისტეთის საზღვართან. შატილში მისვლამდე ექსპედიციას შეუერთდა ფშაველ-ხევსურთა რაზმი. ჯარის, მილიციის და მოხალისეთა რიცხვი 450-მდე იყო.

შატილში გაიმართა მოლაპარაკება და მიღებულ იქნა შემდეგი სამოქმედო წესები: 1) არ მოხდეს არავითარი უწესოება, ძალადატანება და ექსცესები ჩვენი მხრით, 2) გაიმართოს მოლაპარაკება მშვიდობიანი გზით, 3) ჯარი და მილიციის ნაწილი წავიდეს წინ წითელი დროშით. 4) დაცული იქნას სამხედრო მდგომარეობა; შატილის ხეობის ზევით გორა, ანატორის ხევის მაღლობები, გასავლელი გზები დაკავებულ იქნას, ვინაიდან მოსალოდნელია საფრთხე და სხვა და სხვა.

ამგვარათ, 6 ოქტომბერს ქისტების პირველ სოფელში ჯარეგოში 120-დე ჯარისკაცი და მილიციონერები მივიდენ წითელი დროშით. სოფელში მამაკაცების უმრავლესობა აღარ იყო, სახლებიც აქა-იქ დაეცალათ, გაიარეს მეორე და მესამე სოფელი, დაატყვევეს რამოდენიმე ყაჩაღი ქისტი, [illegible] ნოს,—მიუხედავათ დაპირებისა, ზოგიერთი ხევსური ჯარის წინ წავიდა და [illegible] ზოგიერთი თუშ ხევსურ-ფშაველმაც საერთო წესრიგი დაარღვია და უწესოებას მიჰყო ხელი.

რადგანაც მითხოს ხეობას მთა საზღვრავს, ამიტომ ჯარის ერთი ნაწილი მილიციონერთა თანხლებით კაკნიახოს ხეობისაკენ წავიდა. მხოლოდ მეორე ნაწილი კომისარ მენთეშაშვილის თანხლებით—სახანოს ხეობაში. 7 ოქტომბერს სახანოში მოლაპარაკება გაიმართა ქისტების კომისარ მურადუსთან, რომელმაც დაიბარა წარმომადგენელთა თავყრილობა. ამავე დღეს, შიარის მთებში, გამოჩნდენ აქა-იქ ჯაჭვ-ჯაჭვათ ქისტების რაზმები, უმთავრესად გროზნის ოლქიდან, დილდოს მთიდან.

8 ოქტომბერს მდგომარეობა შეიცვალა, სახანოდან სადღეთების გამოსვლისთანავე მთებიდან სროლა ასტეხეს, ამ სროლის დროს სახანოს თავში მოჰკლეს ერთი თუში, ორი ცხენი და ერთი მილიციონერი დასჭრეს. სახანოს სროლას აქა-იქ ყოველ მხრიდან სროლა მოჰყვა. ღამე წყნარათ ჩაიარა. 9 ოქტომბერს კვლავ მთელ მითხოს მიდამოებში იყო სროლა. ხევსურთა, ფშავთა და თუშთა ნაწილმა უწესოების ჩადენასთან ერთად სადარაჯო „პოსტები" მიატოვეს და მთელი გორაკები, ხეობების გზები და სხვა ადგილები ქისტების რაზმებმა დაიკავეს. ეს რაზმები გროზნის ოლქიდან და სხვადასხვა მხარეებიდან მოვიდენ, ყაჩაღთა ცნობილი ბელადის მაცცას მეთაურობით. ამგვარათ, 9 ოქტომბერს მთელ ჩვენს რაზმებს ალყა შემოარტყეს, მხოლოდ ნაწილი გადარჩა და თავს უშველა. ამ დიდ სროლის დროს ერთი ნაწ. ჩვენი რაზ. დარჩა მაზ. კომისარ მენთეშაშვილითურთ ქვევით, სახანოში მომწყვდეული. მეორე ნაწილი კი—ზევით და მათ შორის ჯარისკაცები აფიცრებითურთ. ქისტების შუამავლებმა შეატყობინეს აფიცრებს: ისინი ჯარს არ ერჩიან, ანთავისუფლებენ, დანარჩენებს კი არ გაუშვებენ. ჯარს წინადადება მისცეს წასულიყო გინდ გროზნისაკენ, გინდ თიანეთისაკენ. სთხოვეს ამავე დროს ქვეიდან ჯარს დახმარება, მაგრამ ჯარმა უარი განაცხადა და ზოგიერთ პირებთან ერთად ტყვეები სროლაში მიატოვა და თავს უშველა. სახანოში მომწყვდეულ კომისარ მენთეშაშვილს წინადადება მისცეს წასულიყო, მაგრამ მან უარი განაცხადა. ასე გაიარა რამოდენიმე დღე. სახანოში დატყვევებული თუშები, ხევსურები, ფშავლები—ნაწილი ბრძოლაში დაიხოცნენ, მხოლოდ ნაწილი და მათთან ერთად მენთეშაშვილი ტყვეთ მომწყვდეულნი არ დანებდენ. მოლაპარაკების შემდეგ, ქისტების ბელადებმა იკისრეს სროლის შეჩერება და ტყვეები განანთავისუფლეს. იარაღი აყარეს და რამოდენიმე დღის შემდეგ გამოისტუმრეს.

ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია, რამდენი კაცი დაიღუპა. მოკლულები იქ დასტოვეს, ცხენები და იარაღებიც დაიკარგა. არიან დახოცილები ქისტების მხრითაც. მოკლულთა რიცხვში არის პირიქითი თუშეთის კომისარი ა. ქაძე, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რიცხვში ქისტი აბულუა, რომელსაც განსაკუთრებით დასდევდენ ქისტები, დახვრიტეს და წაიღეს წითელი დროშა.

თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა დაახლოვებით 2500-დე ქისტი. საერთო მდგომარეობა მთებში გამწვავებულია, ზოგიერთ ადგილებში თავდასხმა ლეკებისა და ქისტების მიერ გრძელდება.

ამის გამო 16 ოქტომბერს გაიმართა თიანეთში ადმ. კომიტეტის კრება, რომელსაც დაესწრნენ თუშ-კახეთის, ალვნის, ფშაველების, არტაან-ივრის და ერწოს წარმომადგენლები, თფილისიდან ულ. მგელაძე, ა. სალუქვაძე და ამიერ-კავკ. საგ. კომიტეტის რწმუნებული შტაბს-კაპიტანი არისტაკესოვი. კრებამ შეიმუშავა საგანგებო ზომები, მხოლოდ, რადგანაც სხვადასხვა ხმებია გავრცელებული, ამისათვის დანიშნა საგანგებო კომისია საქმის გამოსაძიებლათ, რომელშიაც შევლენ თუშების, ხევსურების, ფშავლების წარმომადგენლები. ამასთან ერთად კომისიაში მონაწილეობას მიიღებს კავ. მ., ჯ. და გლ. ცენტრის რწმუნებული ულ. მგელაძე და თიან. ადმ. კომიტ. წევრი სიმ. წიკლაური.

უკანასკნელი ცნობებით მდგომარეობა მწვავდება. მიუხედავათ იმისა, რომ მთებში თოვლი მოდის ყაჩაღთა რაზმები განაგრძობენ ძარცვა-გლეჯას. თ—ლი მუშა.

თიანეთი, 17 ოქტომბერი.

ჯარის-კაცთა წერილები

სად არიან რეაქციონერები.

სანამ ჯარი მტერს შეუტევდეს, უნდა გამოარკვეს, სად იმყოფება მოწინააღმდეგე, რა ძალას წარმოადგენს და რა სწადიან. დამარცხებული ჯარი ცდილობს, თუ ერთ ალაგას წააგო ბრძოლა, მეორე ალაგზე გამაგრდეს, რომ მოწინააღმდეგეს კვლავ შეებას. გამარჯვებულმა ჯარმა კი დაკავებულ პოზიციების გამაგრების გარდა დამარცხებულ მტერს უნდა სდიოს და არ მისცეს საშუალება მას ახალ პოზიციებზე გამაგრებისა.

ამ საერთო ბრძოლის წესით ფართოდ სარგებლობენ დღეს რეაქციონერთა ის ელემენტები, რომელნიც ჯარებში იმყოფებიან. დამარცხებულნი, ისინი ცდილობენ უმთავრესა პოზიციები მოწინააღმდეგეს არ ჩაუგდონ ხელში. რეაქციონერთა მეცადინეობაც იქით

არის მიმართული, რომ ჯარში თავიანთი გავლენა და უფლება შეინარჩუნონ.

რეაქციონერებს იმედი აქვთ, რომ დღევანდელი რევოლიუცია ისე დამთავრდება, როგორც ეს 1905 წელს მოხდა, მაგრამ დღევანდელი რევოლიუციის 1905 წლის რევოლიუციასთან შედარება და ამაზე დამყარებული მათი იმედი მართალი არ გამოდგა. როდესაც აქ გაუცრუვდათ იმედი, მოქმედების ასპარეზი გადიტანეს ჯარების კომიტეტებში. „შესაფერი ტაქტიკა და მოქნილობა უნდა გამოიჩინოთ და შეინარჩუნოთ ის უფლებანი, რომელიც ძველმა რეჟიმმა მოგანიჭათო", ასე ამბობდენ პროვინციელი შავრაზმელები, განაგრძობდენ დემოკრატიის გულის მონადირებას და თან იმედის თვალით იცქირებოდენ პეტროგრადისკენ. გუჩკოვის და მილიუკოვის ამბავმა რეაქციონერები გაახარა და იძახოდენ: „ეს დასაწყისია ბოლოსი"-ო. კორნილოვის გამოსვლის დღეებში ხომ მათ სიხარული ვეღარ შეიკავეს და ერთმანეთს ულოცავდენ გამარჯვებას. მაგრამ რეაქციონერებს აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

ჟანდარმების და პოლიციელების ჯარში გაწვევით რეაქციონერთა ძალები გაძლიერდა.

დემოკრატიამ ხელში უნდა ჩაიგდოს ჯარის მართველობის აპარატი. სიტყვით ბევრს ლაპარაკობენ ჯარის დემოკრატიზაციაზე, საქმით ბევრი არ გაკეთებულა. ეს ხდება იმისთვის, რომ საზღაპრო ვეშაპს ერთ თავს სჭრიან და ჰგონიათ, რომ ვეშაპი მოკვდება, მაგრამ ის კი აღარ წყდებათ, ან გონებ ივიწყებენ, რომ ამ ვეშაპს რამდენიმე თავი აქვს და მისი სიკვდილიც მისი ყველა თავების მოკვეთით შეიძლება. ამ თავების მოკვეთას კი არავინ ფიქრობს, პირიქით,—მოჭრილ თავს გამთელებას ხელს უწყობენ. და აი როგორ:

ჯარში ზოგიერთ უმცროს აფიცერთა რევოლიუციონერობას ვერ ითმენენ როტის უფროსები. როტის უფროსების რევოლიუციონერობას არ ითმენენ ბატალიონის უფროსები; თუ სადმე ბატალიონის უფროსებს შეეტყოთ დემოკრატობა და სიწითლე, ამას ვერ ითმენენ პოლკის უფროსები და ასე ზევით. რაც მაღალია თანამდებობა ჯარში, მით ამ თანამდებობის პირთა მოუთმენლობა და შეურიგებლობაც რევოლიუციონერობისადმი დიდი სასტიკია. სათავე კი რეაქციონერთა მოუთმენლობისა იწყება ჯარების შტაბებში. მაშ, ვისაც გულწრფელად უნდა ჯარებში დემოკრატიზაციის მოხდენა, იმან ეს დემოკრატიზაცია ჯარების სათავეში უნდა მოახდინოს, რომ ამ ცენტრებიდან ხელი შეუწყონ ჯარებში დემოკრატიზაციის დამკვიდრებას. ჯარში არეულ დარღვევა მაშინ მოისპობა, თუ ქვემოდან მომდინარე დემოკრატიზაციას გულწრფელად დაეხმარებიან ცენტრები. დღეს მთელი ჯარი და განსაკუთრებით აფიცრობა იმისთვის იტანჯება, იმისთვის მოკლებულა მათი ენერგია, რომ ჯარების რეაქციონური შტაბები დიდს დაბრკოლებებს უყენებენ წინ ჯარის შინაგან შეკავშირება-გაორგანიზებას დემოკრატიულ პრინციპზე და ამ წინააღმდეგობის ნიადაგზე ჯარში მრავლად ხდება ექსცესები. იტანჯება ჯარი იმისთვის, რომ რეაქციონური შტაბები პოლკების უფროსებათ ნიშნავენ ძველი რეჟიმის ერთგულთ, რომელნიც გულ მოდგენით სწმენდენ ჯარის ნაწილებს დემოკრატიულ აფიცრებისგან და სიამოვნებით იღებენ თავიანთ ნაწილებში იმ ელემენტებს, რომელნიც შავ-რაზმულ მოქმედების გამო იდევნებიან სხვა ნაწილებიდან. ღირს შესანიშნავია ის, რომ ჯარის შტაბები მშობლიური მზრუნველობით ეპყრობიან ჯარებიდან განდევნილ აშკარა შავ-რაზმელებს, იმ დროს, როდესაც პროგრესიულ ელემენტებს სდევნიან და კარზე არ იტარებენ. დღეს რეაქციონერთა ყურადღება იქით არის მიპყრობილი, რომ ყველა პოლიტიკურ ჯვარედინებზე თავიანთი კაცები იყოლიონ, ამით „კორნილოვშჩინას" ხელი შეუწყონ და პურიშკევიჩის ნაწერების გასავრცელებელი პუნქტები გაიჩინონ.

თუ რეაქციონური შტაბები ასეთი გზით და ტაქტიკით ლამობენ თავიანთ უკან დაწეულ პოზიციების გამაგრებას და მაზე რეაქციონერთა თავმოყრას, რევოლიუციონურ ცენტრების მოვალეობაა სასტიკი კონტროლი გაუწიოს ჯარის რეაქციონურ ცენტრებს.

თუ გვინდა რევოლიუციონური ყოფნა რეაქციონერთა ყურანტელმა არ ჩაგვქოლოს—უნდა შევქმნათ ჯარის დემოკრატიული შტაბები და ჩამოვაშოროთ პოლიტიკურ ჯვარედინებს ნიღაბ აფარებული რეაქციონერები.

თუ ჯარების ფართო დემოკრატიზაციას ვერ მოახდენენ რევოლიუციონური ცენტრები, მაშინ კორნილოვები კვლავ გაჩნდებიან. აი საით უნდა მივაპყროთ მთელი ჩვენი ყურადღება.

დემოკრატი.

პროვინციის ცხოვრება

ქართლი. ეს მეორე თვეა ქართლის სოფლებში დავიარები და მინდა ჩემი შთაბეჭდილება გავუზიარო ჩვენი გაზეთის მკითხველებს. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ამ ხანათ სოფელი სრულებით უყურადღებოთაა მიტოვებული ჩვენი მოწინავეების მიერ, როდესაც სწორედ ეხლა, ამ განმათავისუფლებელ ხანაში უფრო ესაჭიროებოდა სოფლის ხალხს, ნამეტნავად ქართლში, დიდი ყურადღების მიპყრობა, რადგანაც ამ მხარის ხალხი მეტ სიბნელეში არის მოცული. ჯერ კიდევ ხალხი ვერ გამორკვეულა დღევანდელი მდგომარეობიდან, ვერ გაუთვალისწინებია ყველა ის მიზეზები, რამაც მიიყვანა დღევანდელ გაჭირვებამდე. სოფლის მუშას ეგონა, ერთობა ხელათ ეცვლება მიანიჭებდა დაჩაგრულთ ყველა იმას, რაც სამართალი მოითხოვს ეკუთვნოდეს მას, მაგრამ დამჩაგვრელთა უსამართლობის მეოხებით წართმეული აქვს ყველაფერი, ერთი თითი სულის გარდა და რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ამ სულსაც დაეპატრონებოდენ. ხალხისათვის იბეჭდება ჟურნალ-გაზეთები, წიგნაკები, მაგრამ ყველა ესენი სოფლისათვის ამაოა, რადგანაც არავინ არ არის უცოდინართ (ასეთები კი ასში ოთხმოცდა ცხრამეტია) წაუკითხონ, განუმარტონ, რომ დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობის მიზეზათ ითვლება ძველი, ძირს დამხობილი, მთავრობა; რომ ძველი მთავრობისაგან მიიღო ახალმა მთავრობამ ისე აწეწილ-დაწეწილი, განადგურებულ დაფუშული, ძირამომპალი სახელმწიფო, რომ მისი გამოკეთება ასე ადვილი არ არის, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. სოფლის მუშამ აქამდე თუ ეს არ იცის, ამის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის ძველი წეს-წყობილება, რომელსაც მიზნათ ქონდა დასახული, რაც შეიძლებოდა მეტ სიბნელეში ემყოფებინა ხალხი, რადგანაც კარგათ გრძნობდენ მტარვალნი, რომ თუ ხალხში გავრცელდებოდა სინათლე, მაშინ მათ თვალთ-მაქცობას ფარდა აეხდებოდა და მათ უსამართლობას ბოლო მოეღებოდა, რისთვისაც მბრძანებელთ, რომანოვებს, ჰყავდათ კარგი ჯამაგირიანი აგენტები—დაწყებული მინისტრიდან, გათავებული ჩაფრამდე. ამათვე ეხმარებოდა სამღვდელოებაც. დღეს ხალხი, დიდი მსხვერპლისა და ბრძოლის შემდეგ, იმორებს ყველა მუქთა მჭამლებს და თუ დღევანდელი მდგომარეობით არ ვისარგებლეთ და არ გამოვიყენეთ თავისუფლება, მოგვეღის უფრო უარესი ხალხის მოწინააღმდეგეებისაგან და შემდეგ თითზე კბენანი გვიანღა იქნება. უმთავრესათ ამ ბრძოლის წაგებაში ბრალი დაედება სოფლის მუშებს, რადგანაც ისინი თანდათან იწევენ ხალხის მოწინააღმდეგე ბანაკისაკენ. ჩვენს მოწინავეებს საჭიროებთ დიდი ყურადღების მიპყრობა სოფლის მუშებისაკენ, რაც უნდა გამოიხატებოდეს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში, რისთვისაც საჭიროა ყოველ სოფელში დაარსდეს უბან-უბან წრეები, სადაც უნდა იკრიბებოდნენ დანიშნულ დროს საჭირბოროტო კითხვების გამოსარკვევათ, იკითხებოდეს წერილები ჩვენი ჟურნალ-გაზეთებიდან და წიგნაკებიდან—უამისოთ სოფლის ხალხი ისევ ბურუსში გახვეული დარჩება, როგორც იყო აქამდე, რასაც, ვგონებ, კარგი შედეგი არ მოჰყვება!..

მაშ, გავეშურნეთ სოფლისაკენ და ჩავაბათ მუშაობაში, ვისაც კი ოდნავ სწყურია ჩვენი ხალხის კეთილდღეობა!..

იახონ ფუჩიაშვილი.

ხ. წალენჯიხა. ამ ბოლო დროს წალენჯიხის რაიონში ქურდობა—ავაზაკობამ საშიში ხასიათი მიიღო. დღისით გზაზე ვერ გაივლის კაცი, რომ არ გაძარცვონ და ღამით კი სახლში თავს ესხმიან ავაზაკები. ამითაც არ დაკმაყოფილდენ ეს ვაჟბატონები და დაიწყეს ცოცხალი ადამიანის მოტაცება. 8 ოქტომბერს, საღამოზე სოფ. ფუქას მცხოვრებ, ვაჭარ ი. ჭანიას შეუცვივდა სახლში ექვსი შეიარაღებული კაცი, ჩაამტვრიეს კარები, წაიღეს რაც ნახეს ფულიც და ნივთიც 4000 მან.; და თანაც გაიტაცეს თვით ი. ჭანია თავისი მამით. რამოდენიმე ვერსი რომ გაიარეს, მამა გაუშვეს და მოსთხოვეს შვილის განსათავისუფლებლათ 15,000 მან. ერთი დღე მისცეს ვადა. ამ ამბავმა მთელი საზოგადოების მცხოვრებნი და მთავრობა ფეხზე დააყენა. იმ დღესვე ჩამოვიდა მაზრის კომისარი ამხ. მ. ანჯაფარიძე მილიციონერებით და მიიღო ენერგიული ზომები ბანდიტების აღმოსაჩენად. ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლების დახმარებით შეუდგნენ ჩხრეკას და აღმოაჩინეს გატაცებული ნივთები, რამოდენიმე საეჭვო პირებიც შეიპყრეს. 11 ოქტომბერს ამის გამო მოხდა სამი საზოგადოების—ობუჯის, ჯგალის და წალენჯიხის მცხოვრებლების ყრილობა. ხალხი დიდათ აღელვებული იყო. თხოულობდა დაჭერილების თვით-გასამართლებას და მათი კარმიდამოს დაწვა აოხრებას. კიდევაც ხალხი დაემართა წასასვლელად, მაგრამ აკავებდენ. სიტყვები წარმოსთქვეს მ. ანჯაფარიძემ, რ. თოლორდავამ, ი. კვარაცხელიამ და ვ. სარიამ და მოუწოდებდენ ხალხს სიდამშვიდე შენარჩუნებას და მთავრობასთან ერთად მოქმედებას. ხალხმა ეს წინადადება მიიღო. ხალხის ასეთმა გადაწყვეტილებამ ბანდიტებზე იმოქმედა და შიშის ზარდაცემულებს გამოუშვიათ გატაცებული ჭანია, რომელიც კრებაზე მოვიდა, რამაც სიხარული გამოიწვია ხალხში. ჭანია ძალიან დასუსტებული იყო, მან მიმართა ხალხს დიდი მადლობით და უთხრა: „თქვენმა ასეთმა აღელვებამ და მთავრობის ენერგიამ მოქმედებამ შიშის ზარი დასცა ჩემ მტრებს და გამანთავისუფლესო". ამის აღსანიშნავათ ადგილობრივი მაღალ პირველ-დაწყებითი სასწავლებელს შესწირა 2000 მან. და 1000 მან. ადგილობრივი დროებით მთავრობის განკარგულებაში გადასცა. ზომები მიღებული ყაჩაღების დასაჭერათ.

გადმეული.

დ. ბორჯომი. 20 ამ თვეს ბორჯომის სათეატრო დარბაზში მოხდა ბორჯომის მოქალაქეთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო 500-დე პირი. კრების მსჯელობის საგანს შეადგენდა საქალაქო არჩევნები. თავმჯდომარეთ კრებამ ერთხმად აირჩია ამხ. ახალაძე, მდივნათ ნოე დევიძე. თავმჯდომარემ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ქალაქის თვითმართველობის შესახებ და ნათლად დაახასიათა მომავალი თვითმართველობის ფუნქციები. საკითხი თვითმართველობის შემოღების შესახებ ერთხმად იქნა მიღებული, მხოლოდ კამათი გაიმართა იმის შესახებ, თუ როდის და ვის უნდა დაენიშნა არჩევნების დღე. ერთი მიმდინარეობა ამტკიცებდა არჩევნების დღის დანიშვნას კრებაზედ, მეორე კი ირჩევდა კომისიას, რომელსაც უნდა დაენიშნა ეს დღე. ხმის უმეტესობით გავიდა პირველი წინადადება. არჩევნების დღეთ კრებამ დანიშნა 5 ნოემბერი. ამის შემდეგ აირჩა 9 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა არჩევნების ხელმძღვანელობა. კომისიაში არჩეულ იქნა შემდეგი პირები: ახალაძე მიხეილ, პ. ხუციშვილი, ი. პატრიკეევი, მ. სარალიძე, ვ. მეტიჯიანცი, ხ. მიხაილოვი, მ. ონისიმოვი და ივ. ბურიევი.

ნოდე.

კავკასიის მ., ჯ. და გ. დეპ. საბჭ. ცენტრს შესწირეს:

პეტროვსკ-პორტის ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ 40 მ., სურმალინის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ—640 მ. 4 კ., ბათუმის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ—90 მ. 30 კ., ევლახის რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტმა—341 მ. 50 კ., აბასთუმნის ლაზარეთიდან—145 მან. 41 კ., ოლთისის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტმა—160 მან., არდაგანის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ—800 მ., ოლთისის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ—150 მ., კარაკლისის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭომ—114 მან. 21 კაპ., ყარსის გარნიზონის აღმასრულებელ კომიტეტმა—5758 მ. 19 კ.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

მომქმედ ჯარში მუშათა ბრიგადაში 14 მუშათა ბატალიონში, მეორე როტაში, მსახურებდა ტარასი გიგოს ძე ნიკოლეიშვილი. აგერ 9 თვე გადის და არაფერი არ ისმის მის შესახებ. თუ ვინმემ რამე იცის, ვთხოვ მაცნობოს შემდეგი მისამართით: სოფ. გომი სამტრედიის რაიონისა, ნატა ნიკოლეიშვილს.

— ჯარისკაცი ილია ლუარსაბის ძე წყვერაშვილი, მცხოვრები ქუთ. გუბ. შორაპნის მაზრის, ჩიხის საზოგადოების, მსახურებდა მე-19 თურქესტანის პოლკში მეთერთმეტე როტაში. უკვე წელიწად ნახევარია მისი არაფერი ვიცით. ვთხოვ ვინც რამე იცის, გამაგებინოს ამ მისამართით: საჩხერე, ალექსი ნემსაძე.

— კოტე ნიკოლოზის ძე დაუთაშვილი მსახურებდა მეორე კავკასიის მსროლელთა პოლკში, მეოთხე როტაში. თუ ვინმემ რამე იცით იმის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ბორჩალოს მაზრა, ფოშტა ბაშკიჩეთი, სოფ. კალაშა, ვასილ დაუთაშვილს.

სახალხო სახლი.

სახ. სახ. არს. ქართ. წარმ. მმართვ. წრე.

პარასკევს 25 ოქტ. 1917 წ. წარმოდგ. იქნება

იმედის დაღუპვა

დრ. 4 მოქმ. გეიერმანსისა, თარგ. ღ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: არჯევანიძე, ე. ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ვ. მარგველაშვილი, ე. იაჩქოშვილი, ს. რომანიშვილი დგებუაძისა, ს. საკკოვი; ბ.ბ. გ. ანაშვილი. ნ. გოცირიძე, ბ. მამაჯანოვი, ი. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, სალაყაია, გ. ჯაბაური, ნ. ჭანკვეტაძე და ქლენტი.

ადგილების ფასი 1 მ. 20 კ-დან 25 კ-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთების კასა ღიაა ყოველ-დღე დილის 12-2 და საღ. 6-8 საათ. შემდეგი წარმოდგენა 1 ნოემბერს.

წრის ადმინისტრაცია სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. ბავშვების შეშვება თეატრში და ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია.

რეჟ. ა. შათირიშვილი. რეჟ. თან. ა. ბადრიძე.
ქარ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია.

ღია წერილი უცნობ მოქალაქეს

15 სექტემბერს შორაპნის სადგურზე მე თქვენ მატარებლის ფანჯარაში მოგაწოდეთ ჩემი ხურჯინი. შიგ ელაგა: გიტარა, საცვლები, კედლის ხალიჩა, სურათები და სხვა. მე მატარებელმა გამასწრო და ხურჯინი თქვენთან დარჩა. მე გადმომცეს, რომ თქვენ ბევრი გიძებნიათ. გიძღვნი დიდ მადლობას და გატყობინებთ ჩემს მისამართს: ბათუმი. ნურია გიორგის გუგუნავას სავაჭრო. სხვებსაც ვსთხოვ, ვინც ამის შესახებ რამე იცის, შემატყობინოს.

(2 1) პატივისცემით ანთიმოზ ფხალაძე.

პირველ სამილიციო უბნის
დემოკრატიული საარჩევნო კომიტეტი
მოთავსებულია მე 6 ქალთა გიმნაზიაში (საუფლისწულო ქუჩა № 3) ბიურო ღია ყოველდღე საღამოს 6—8 საათამდე.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, საღ. 5—7 საათამდე, გუნიბის ქ. № 41.

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, № 4

კბილის ექიმი
მამულაიშვილი-ხოდნევისამ
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა. ოლღის ქ. № 22.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა
ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქვენიშვის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სიდოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. ხვანოშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
გ. დონხისი
ყოფილი ასსისტენტი პარიზის [illegible] კლი-[illegible]
თვალის [illegible].
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სალინოიდი არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი გ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ექსტრაორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღეზ —5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

სავაჭრო სახლი
„ექსპორტ-იმპორტი"
ა. სელიმიანცი და ამხანაგობა

იღებს ყველანაირ საქონლის შეკვეთას და კისრულობს საჩქაროდ მიაწოდოს შეკვეთილი საქონელი როგორც რუსეთის რესპუბლიკის ქალაქებში ისე საზღვარ გარეთ.

მისამართი: Владивостокъ, Алеутская 13, торговый домъ „Экспортъ-Импортъ" А. Селимянцъ и К-°. 3—3

განცხადება

მორიგი სხდომა მუშათა სექციის აღმასრულებელ კომიტეტისა

სამშაბათიდან გადაიდო ხუთშაბათ 26 ოქტომბრისათვის საღ. 7 საათზე.

2—1 პრეზიდიუმი.

პური

ახალი პურის ბარათების დარიგების შესახებ.

ვინაიდან ახლო მომავალში უნდა მოხდეს ხელახალი პურის ბარათების დარიგება, ქალ. სასურ. გამგეობა სთხოვს მოქალაქეებს დროიანათ შეეცადონ შაქრის ბარათების სასწორეში მოყვანას, იმათ ვისაც სრულიათ არა აქვს შაქრის ბარათები, უნდა ეხლავე შეიძინონ, რადგანაც ახალი პურის ბარათები მიეცემა მხოლოდ შაქრის და პურის ბარათის წარდგენის შემდეგ.

ვადა ძველი პურის ბარათებისა გადის 5 ნოემბერს.

3—1 ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

დამფუძნებელ კრების

არჩევნების ამიერ კავკასიის ცენტრალური კომისია იუწყება

რომ ამომრჩეველთა ჯგუფის განცხადება, ჯგუფის წარმომადგენელთა სამაზრო, საქალაქო და საუბნო კომისიებში ჩარიცხვის შესახებ უნდა წარედგინოს საოლქო კომისიაში, ანდა იმ კომისიაში, რომელშიდაც მათი წარმომადგენლები შედიან.

პრეზიდიუმი.

ტფილისის მაზრის სასურსათო კომიტეტი

აცხადებს, რომ შაბათს, 21 ოქტომბერს, ხაზინადარმა დაჰკარგა კასის გასაღები, ამისათვის ვსთხოვთ პატივცემულ მპოვნელს წარმოადგინოს ტფ. მაზრის საკომისარიატოში, მიხეილის ქუჩა № 171. მპოვნელი მიიღებს სასყიდელს.

1—1 პატივისცემით თავმჯდომარის მაგიერ ესტატე ლოლაძე.

პური

პურის ნაკლებობის გამო, ქალაქის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა, რომ 21 ოქტომბრიდან სულზე მიეცეს მხოლოდ სამი მეოთხედი გირვანქა პური. ისინი, ვინც ფიზიკურ შრომას ეწევიან, ამას ზევით მიიღებენ კიდევ სამი მეოთხედი გირ. პურს. სუხარი დღეიდან აღარ იქნება.

მოქალაქენო!

ქალაქის სასურსათო კომიტეტი იძულებულია შეამციროს რაციონი, პურის მეტის-მეტ კრიზისის გამო. ფქვილი წესიერათ და საკმაოთ არ მოდის. ის ფქვილი, რომელიც ქალაქს მოსდის დიდის გაჭირვებით, ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთ. რომ დაცულ იქმნას თანასწორობა, რათა არავინ დარჩეს უპუროთ, იძულებული გავხდით პურის რაციონი შეგვემცირებინა.

მოქალაქენო! ქალაქის სასურსათო კომიტეტი დარწმუნებულია, რომ თქვენ შეგნებულად შეხვდებით არსებულ მძიმე სასურსათო კრიზისს და ყოველი თქვენგანი მიიღებს პურის იმ ნორმას, რომელიც დადგენილია ქალაქის სასურსათო კომიტეტის მიერ.

ფქვილის ნაკლებობის გამო, ქალაქში ეხლა არ ცხვება იმდენი პური, რამდენიც წინედ ცხვებოდა, რომ უპუროდ არავინ დარჩეს და ყოველმა მოქალაქემ მიიღოს პური, საჭიროა შეურიგდეთ პურის რაციონის შემცირებას.

პურის გასაყიდი ადგილები გამრავლებულია. პური ყოველდგან იყიდება დილის 6 საათიდან, ყოველი მოქალაქე აუცილებლად მიიღებს თავის წილ პურს. ამისათვის არ არის საჭირო, რომ მოქალაქეები ღამიანათ ჩადგენ რიგში.

(2—2) ქალაქის სასურსათო გამგეობა.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აუწყებს ქალაქ ტფილისის მოქალაქეებს, რომ დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიები ქალაქ ტფილისის ამომრჩევლებისა უკვე დამთავრებულია, შეიძლება დათვალიერება 27 ოქტომბრამდე შემდეგ ადგილებში: მთელი ტფილისის მცხოვრებთათვის ქალაქის საბჭოს გამგეობის დარბაზში და ქალაქის შემდეგ უბნებში:

1 უბანში ქალაქის სკოლა მაჩაბლის სახლი, ოლღას ქუჩა № 52.
2 „ არტისტიულ საზოგადოების საზამთრო სადგომი.
3 „ ქალაქის გამგეობა.
4 „ სახელოსნო სასწავლებელში.
5 „ ქალაქის სამკურნალო ვორონცოვის ქუჩაზე.
6 „ ნადეჟდის თავშესაფარი, რეიტერის ქუჩაზე.
7 „ ავლაბრის კლუბის საზამთრო შენობა.
8 „ ქალაქის სკოლა, პასკევიჩის ქუჩა.
9 „ ქალაქის სკოლა, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29.
10 „ სახალხო სახლი ზუბალაშვილისა, კიროჩნი ქუჩა.
11 „ ქალაქის სკოლა, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 100.
12 „ საბრეშუმო სადგური, მუშტაიდში.

ვინც სიაში შეტანილი არ არის, ანდა სიაში სწორათ არ არის შეტანილი, შეუძლია აღნიშნულ ადგილებში 27 ოქტომბრამდე წარუდგინოს დასაბუთებული საჩივარი ქალაქის გამგეობის სახელზე. 3—2

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა [illegible] № 1.